# სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 21 ნოემბერი 2006 №270 (2892) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## გიუნეში ლექტორი მეორედ იქნება

თარიღი ზოთამ უნდა მითხრას

## დაკარგული რეალი და ლიონი

ტოპმიოლერმა ჯაკობია მარკევიჩთან აჩხუბა

## ოლიმპიას უნიონი ვეღარ გააერთიანებს

მარკოიუვილის გუნდი დაშლის პირასაა

# როგორ მოვიპოვოთ თითქმის მილიონი

## საქართველო არგენტინას გაყიდის და იყიდის?

900 ათასი ევრო — აი, ის თანხა, რომელსაც არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია ამ ქვეყნის ნაკრების თბილისში საქართველოსთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ითხოვს — საქართველოსა და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციებს, ასევე შუამავალ კომპანიას შორის წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია.

ახლა კი მთავარი საქმეა მოსაგვარებელი — საიდან ეს 900 ათასი?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავის პარტნიორ „ინფრონტის“ საშუალებით საქართველო — არგენტინის მატჩის ტელე-უფლების გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებას უკვე რამდენიმე საკმაოდ ცნობილ ევროპულ ტელეკომპანიასთან აწარმოებს და თუ მათ ამ შეხვედრის ტრანსლირების უფლება იყიდეს, 12 სექტემბერს საქართველო — არგენტინა აუცილებლად იქნება.

ფედერაციას, გაყიდის თუ არა 900 ათასად ამ მატჩის ტელეუფლებას, პასუხი უახლოეს დღეებში ეცოდინება. ისე კი, ამბობენ, 900 ათასი ევრო ევროპის დიდი ტელეკომპანიებისთვის ძვირი სულაც არ არისო.

ერთი სიტყვით, თუ მატჩის ტელეჩვენება ამ ფასად გაიყიდა, ფეხბურთის ფედერაციას არგენტინელთათვის სასტუმროს ხარჯების დაფარვა მოუწევს.

არ ღირს მხოლოდ სასტუმროს ფასად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონების თბილისში ხილვა?

ღირს!

ძოგა ინასარიძე

# ალიყური და წიწაკა

## ვალერი გაზაევს ჭირისუფლობისთვის არ სცალია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

„რეალში“ გადასვლის შემდეგ ფაბიო კაპელოსთვის ისეთი ალიყური არავის უჭმევია, „ლიონისგან“ რომ იგემა ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში. გახსოვთ, ალბათ, ლიონში „რეალს“ 3:0 დააწერეს ბეჭებზე და ისე გაისტუმრეს მადრიდში, მაგრამ ახლა „სამეფო კლუბის“ დრო მოვიდა. კაპელოს შანსი აქვს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ საპასუხო სილა სტკიცოს „ლიონს,“ რომლის ძალაც ისეთი სილაღით ვეღარ ხნავს აღმართებს, როგორც სექტემბერში. „რეალი“ კი პირიქით, მოფერიანდა, ათამაშდა, წელში გაიმართა და პრიმერადივიზიონის ბოლო ორ ტურში შვიდი გოლი გაიტანა.

მოკლედ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შურისძიების სუნი დატრიალდება.

დღევანდელი მატჩებიდან „სელტიკ“ — „მანჩესტერის“ არგამორჩევა ცოდვა იქნებოდა. შოტლანდიელი მწვრთნელები გორდონ სტრაჩანი და ალექს ფერგიუსონი უკვე დიდი ხანია, ერთმანეთს იცნობენ და ეს ნაცნობობა უფრო წიწაკითაა შეზავებული, ვიდრე თაფლით და ამიტომ მათი დღევანდელი შეჯახებაც განსაკუთრებული გამოვა. სტრაჩანს ოდესღაც უთქვამს, ფერგიუსონი ვერაფერი მწვრთნელიაო, ხოლო სერ ალექსს ავტობიოგრაფიულ წიგნში სტრაჩანზე დაუწერია, მაგ კაცის ნდობა არ შეიძლებაო.

და ერთიც: „პორტუსთან“ მატჩში აწ უკვე რუსეთის ჩემპიონ ცეესკას ვალერი გაზაევი უთავკაცებს. ამით განსაკუთრებული თითქოს არაფერი გვითქვამს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ორიოდ დღის წინ გაზაევს უმცროსი ძმა, რუსლანი ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ვალერი გეორგიევიჩმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, ტრაგედიის მიუხედავად, გუნდს ვერ მივატოვებ და ვლადიკავკაზში პირდაპირ დაკრძალვაზე ჩავალო.



შენოლ გიუნეში, „ტრაბზონსფორის“ და იმ თურქეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც ოსმალოთა ეროვნულმა გუნდმა 2002 წლის მუნდიალზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, თბილისშია დაპატიჟებული — შოთა არველაძემ მის ყოფილ მწვრთნელს საქართველოში ჩამოსვლა და ქართული მწვრთნელებისთვის სემინარის ჩატარება სთხოვა. გიუნეშსაც ამად დავუკავშირდით თურქეთში...

# გიუნეში ლექტორი მეორედ იქნება

## თარიღი შოთამ უნდა მითხრას

— შოთასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და, როცა ასეთი რამე მთხოვა, რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

**— როდის აპირებთ თბილისში ჩამოსვლას?**

— კონკრეტულ თარიღს ჯერ ვერ გეტყვით, ეს შოთამ უნდა მითხრას.

**— მწვრთნელებისთვის ლექციების ჩატარების რა გამოცდილება გაქვთ?**

— ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ მაქვს, მხოლოდ ერთხელ, ავსტრიაში წავიკითხე ლექციები.

**— მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრები კლაუს ტოპმიოლერმა ჩაიბარა, ჩვენი გუნდის თამაში არ გინახავთ?**

— არა, ტოპმიოლერს ჯერ მხოლოდ მისი გერმანული საქმიანობით ვიცნობ.

**— ახლა უმუშევარი ხართ. შემოთავაზებები არ გაქვთ?**

— ჯერჯერობით საინტერესო შემოთავაზება არ მაქვს.

ვაჟა ხუციშვილი

# ოდიკაძე გამძლეობას წუთებით ითვლის

**ვინ შეგვედავება, რომ სანამ ტრაგედია შეემთხვეოდა, დავით ოდიკაძე საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი იყო და აკი, რამდენჯერმე ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა. ერთი წელი ციხეში — გუშინ ზუსტად ორი თვე გახდა, რაც „ოდო“ ციხიდან გამოვიდა და იგი უკვე „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. 25 წლის ნახევარმცველმა რამდენიმე მატჩი დუბლებში ჩაატარა, ერთხელ თასზეც ითამაშა, შაბათს კი ხელმეორე დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ჩემპიონატში: საჩხერის „ჩიხურასთან“ ბოლო 20 წუთი იბურთავა...**

გურამ დულუნჯაგვილის ფოტო

**— „ჩიხურასთან“ საკმაოდ აქტიურად ჩაერთე თამაშში...**

— ჯერ მაინც შორს ვარ ჩვეული ფორმისგან, მაგრამ უნდა შევძლო და, ძველებურად ავთამაშდე. ისე, ციხიდან რომ გამოვედი, იმასთან შედარებაც არ არის — ახლა გაცილებით მხნედ ვარ. ეგაა, გამძლეობაში მიჭირს.

**— თავიდან „დინამო 2-ში“ დაიწყე ვარჯიში და ფიქრობდი, რომ ასე მალე გადახვიდოდი მთავარ გუნდში?**

— „დინამო 2-ში“ ორი დღე ვივარჯიშე და მთავარ გუნდშიც მას მერე გადამიყვანეს. ალბათ, მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ასე, რისთვისაც მადლობელი ვარ.

**— „ჩიხურასთან“ თამაშიდან გამომდინარე, ჩანს, სისწრაფე არ დაგიკარგავს...**

— სისწრაფეში ნაკლებად მიჭირს, უფრო გამძლეობას ვუჩივი და ნელ-ნელა ამასაც აღვიდგენ.

**— ანუ 90 წუთი თამაშს, ალბათ, ჯერ ვერ შეძლებ...**

— გამიძნელდება. დუბლებში სამჯერ ვითამაშე 90 წუთი, მაგრამ ძირითად გუნდში და თანაც ძლიერ მეტოქესთან თამაში სხვა დატვირთვას მოითხოვს.

**— საინტერესო უნდა იყოს ასეთი შედარება: სანამ ციხეში მოხვდებოდი, მაშინ უფრო ძლიერი იყო „დინამო“ თუ ახლა?**

— მაშინ უფრო ძლიერი იყო, რადგან გაცილებით ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი გვყავდა. ახლანდელი „დინამო“ ძალიან პერსპექტიულია და მჯერა, უფრო კარგ გუნდად ჩამოყალიბდება, ვიდრე, თუნდაც შარშანდელი „დინამო“ იყო.

**— დუშან უჰრინის ხელში „დინამო“ აშკარად პროგრესირებს, თუმცა ჯერ ოდენ მეხუთე ადგილზე ხართ...**

— უჰრინს ევროპის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული აქვს და ჩემი შექება, მგონი, არ სჭირდება. ძალიან ძლიერი სპეციალისტია, მისი ცოდნა მომავალში უფრო და უფრო დაეტყობა გუნდს. მეხუთეზე კი ვართ, მაგრამ მაინც ჩემპიონობისთვის ვიბრძვით — არცთუ დიდი განსხვავებაა ქულებში.

**— ალბათ, ჯერ ადრეა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაზე არ ფიქრობ?**

— ეს ჩემი ოცნებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

ილია ნანობაჯვილი

# გოგუა ჯერ მხოლოდ ლუჩს ამხელს

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების და ნალჩიკის „სპარტაკის“ შუახაზელი გოგიტა გოგუა 15 ნოემბერს ურუგვაისთან მატჩში დაშავდა და ამ უქმეებზე რუსული პრემიერლიგის ბოლოსწინა ტურში ვერ ითამაშა. თუმც ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა — დაჭიმული კუნთის გამო გოგუამ რამდენიმე დღე იუქმა, გუშინ კი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად ივარჯიშა „ნალჩიკში“.

რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში „ნალჩიკი“ გიორგი ლომაიას „ლუჩს“ შეხვდება და გოგუას ვარაუდით, ის ითამაშებს. ამ მატჩის შემდეგ გოგუას საიჯარო კონტრაქტი უმთავრდება „ნალჩიკთან“ და ჯერ არ ამხელს, თუ რა შემოთავაზებები აქვს.

დავით თავართქილაძე

# ხორვატიასთან 6, ჩრდილოირლანდიასთან 4

**გუშინ** საქართველოს ქალთა ნაკრებმა ევროშესარჩევი ტურნირის მეორე მატჩი გამართა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან და 0:4 დამარცხდა.

პირველ ტურში ჩვენებმა 0:6 წააგეს ხორვატიასთან, მომდევნო მატჩს კი 22 ნოემბერს ტურნირის მასპინძელ თურქებთან ჩაატარებენ.

# ყური-მური არ ვიცი, მცხეთაში ვითამაშებ

## დავითაშვილი მოედანზე საწოლიდან გარბის

გაფრი ალბილაძის ფოტო

„ამერი“ — „ოლიმპის“ შაბათის მატჩი ტურში ცენტრალური იყო და შესაბამისი ინტრიგა-დაძაბულობითაც გამოირჩეოდა. ჩხუბი და გაწევ-გამოწევა, რაც ბოლო დროს ასეთ პრინციპულ შეხვედრებს არ აკლია, გლდანში არ ყოფილა, არც კამათამდე მისულა საქმე, თუმცა ფეხბურთელებს თამაშისას ერთმანეთი არ დაუზოგავთ. უხეშობა და ამის ზღვარზე ორთაბრძოლა „ამერი“ — „ოლიმპის“ თანმდევი იყო და ექიმებსაც საქმე არ დაჰკლებიათ, ნამდაუწუმ შერბოდნენ მოედანზე.

ამ ჭახა-ჭუხში კი ყველაზე მეტად მასპინძელთა ფორვარდი სულიკო დავითაშვილი დაზარალდა. ის პირველად მატჩის დასაწყისშივე დაშავდა და იქვე უნამლეს, პირველი ტაიმის შუაში მიღებულმა ტრავმამ კი თამაში ნაადრევად შეაწყვეტინა — სტადიონიდან დავითაშვილი პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს...

— ყურის აპკი მაქვს გახეთქილი და ექიმებმა ერთკვირიანი წოლითი რეჟიმი გამომიწერეს — გვითხრა სულიკო დავითაშვილმა — ესეც მძიმე ტრავმაა, მაგრამ ღმერთს მადლობა, უფრო სერიოზულად რომ არ დავშავდი. საავადმყოფოში მითხრეს, ბედზე ხარ გადარჩენილიო...

**— ტვინის შერყევაც ხომ არ გაქვს?**

— ამასაც გადავურჩი, თუმცა წოლითი რეჟიმი მაინც მირჩიეს.

**— ისე გამოვიდა, - „ამერი“ — „ოლიმპი“ ბოლომდე არ გინახავს...**

— ბოლომდე პირველი ტაიმიც არ მინახავს... ძალიან მიხარია, რომ ბიჭებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და კონკურენტს მოგება არ დაანებეს. ექვსქულიანი მატჩი იყო, წაგება არ შეიძლებოდა.

**— რაკი ერთი კვირა უნდა დაისვენო, გამოდის, ჩემპიონატის პირველი წრე შენთვის უკვე დამთავრებულია...**

— ოთხშაბათს ზესტაფონში სათასო მატჩს, რა თქმა უნდა, გამოვტოვებ, აი, კვირას „ვიტ ჯორჯიასთან“ კი ძალიან მინდა, ვითამაშო. ვნახოთ, ერთკვირიანი წოლითი რეჟიმის მიუხედავად, ერთ-ორ დღეში ალბათ მაინც წამოვდგები და ტრავმამ ძალიან თუ არ შემაწუხა, ვივარჯიშებ. „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩვენი მატჩი „ოლიმპთან“ შეხვედრაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოგების შემთხვევაში ხომ პირველ წრეს ლიდერად ჩავამთავრებთ და გაზაფხულიდან ამ ადგილის შესანარჩუნებლად უფრო მეტი სტიმული გვექნება.

**— ეს ტრავმა ფეხის თავში მოხვედრისას მიიღე?**

— ჯერ ფეხი მომხვდა ცხვირში, თუმცა ექიმებმა მიწამლეს და თამაში მაინც გავაგრძელე. ცხვირი კი მტკიოდა, მაგრამ ვითმენდი. რამდენიმე წუთში „ოლიმპის“ კარისკენ თავური დავარტყი და მაშინ უკვე მეტოქის თავი მომხვდა ყურში. სწორედ ამის შემდეგ გამისკდა აპკი და ისე ცუდად გავხდი, კინაღამ გონება დავკარგე.

**— მოკლედ, „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშს მაინც აპირებ...**

— ამის დიდი სურვილი მაქვს. თუ ტრავმა არ გამირთულდა, აუცილებლად ვითამაშებ.

კოგა ინასარიძე

### ინგლისი
ასოციაციის თასი
I ეტაპი გადათამაშება
ჰარტლპული 0:0(პენ.4:2) როჩდეილი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
XV ტური
სლავია 2:0 ბუდეიოვიცე

### იტალია
სერია B. XII ტური
მანტოვა 1:0 პიაჩენცა

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XVII ტური
ბრესტი 1:1 სტრასბური

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XIII ტური
კარლსრუე 4:4 ჰანზა

### პორტუგალია
სუპერლიგა. X ტური
ამადორა 1:0 ბელენენსეში

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 12 ტური

ამერი 2:2 ოლიმპი
დინამო 3:1 ჩიხურა
ჯახეთი 0:2 ზესტაფონი
დილა 0:6 ვიტ ჯორჯია
ტორპედო 3:1 მერანი
სიონი 1:0 ლოკომოტივი
ბორჯომი 0:0 ბათუმი

ბაადერ ალიევი ფოტო

# სად არის ჩემპიონერი, სად არის ფედერაცია?

## პრეზიდენტდაჭერილ ტორპედოს ქულებს და დროს ვერ უჭერენ

**გლდანში** ნათამაშევმა ფრემ სიტუაცია კიდევ უფრო ჩახლართა — რახან „ამერმა“ და „ოლიმპმა“ ორ-ორი ქულა დაკარგეს, მათმა უახლოესმა მდევრებმა კი სამ-სამი ქულა შეიმატეს, ჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა.

„ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ და „დინამო“ — მათი ამბიციური ქშენა „ამერსა“ და „ოლიმპს“ პირველი წრის ბოლო ტურის წინ უფრო მძაფრად ესმით.

„ამერმა“ ორი ქულის გარდა ამ შეხვედრაში ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელიც დაკარგა — შემტევი სულიკო დავითაშვილი 30-ე წუთზე ისე დაშავდა, შესაცვლელი შეიქნა. მომდევნო ტურში „ამერს“ კვლავ უმნელესი ბრძოლა ელის — კვირას მცხეთაში „ვიტ ჯორჯას“ ესტუმრება და დავითაშვილის შესაძლო არყოლა ამერელებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნება.

„ოლიმპმა“ თუ მატჩის დასაწყისში იმარჯვა, მერე თამაში „ამერისა“ იყო და ეს უპირატესობა მასპინძლებმა გამოიყენეს კიდეც — ორბურთიანი ჩამორჩენა კი გაბათილეს, მაგრამ მეტს ვერას გამორჩნენ და საბოლოოდ — 2:2.

საქართველოში არ იმყოფება და, ბუნებრივია, ჩემპიონატის ლიდერთა ამ შეხლას ვერ დაესწრებოდა ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი, ვისი დამოკიდებულებაც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისადმი კარგა ხანია, ცნობილია, მაგრამ „ამერი“ — „ოლიმპის“ ამ მატჩზე არც ფეხბურთის ფედერაციის თუ პროფლიგის მაღალჩინოსნებისთვის მოუკრავთ თვალი...

როგორც უნდა იყოს, „ამერი“ კვლავ დაუმარცხებელია მიმდინარე სეზონში, ეგაა, პირველი წრის ბოლოს არასახარბიელო განრიგმა უწია — როგორც გითხარით, „ოლიმპის“ შემდეგ იმ „ვიტ ჯორჯიასთან“ მოუწევს ბრძოლა, გორის „დილასთან“ რომ იშლიგინა და ბოლო ტურებში ერთობ დამაჯერებლად, ღონივრად თამაშობს. „ვიტ ჯორჯია“ არ არის, ასე ვთქვათ, მყვირალა გუნდი, მაგრამ თავის საქმეს რიგიანად აკეთებს და რაგინდარა გუნდის გამწარება შეუძლია — ვიტელებმა მიჯრით მეოთხე მატჩი მოიგეს...

ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „ზესტაფონმა“. კვლავ გაიტანა გოგი ფიფიამ, ის ახლა გუნდის საუკეთესო მეგოლეა, სახელიან თანაგუნდელ ზურაბ იონანიძეზე მეტი გოლი აქვს შეგდებული. ისე, „კახეთს“ მეორე გოლი სწორედ იონანიძემ გაუტანა.

უკვე მეორე მატჩია, დუშან უჭრინს სანდრო იაშვილი შეცვლაზე შეჰყავს. საჩხერის „ჩიხურასთან“ იაშვილმა ჩინებულად ითამაშა — ორი გოლი გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა. უჭრინი ისევ ძიებაშია, „დინამო“ კი მეთვრამეტე ეროვნულ ჩემპიონატში ერთადერთია, ჯერ ფრე რომ არ უთამაშია.

პირველი წრის ბოლო ტურში „დინამო“ „ბათუმს“ ესტუმრება და აჭარიდან სამი ქულის წამოსაღებად გვარიანი გარჯა მოუწევს. ბათუმელებს ცხრილში ძალიან მოკრძალებული ადგილი უკავიათ, თუმც პოტენციალით უფრო მეტად ფასობენ. ბორჯომში „ბათუმს“ მოგება შეეძლო, მაგრამ სტუმრები დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ყოჩაღობდნენ.

ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე კვლავაც პატიმრობაშია და ტორპედოელები ჩივიან, დაკავებული პატრონის გამო ფინანსური პრობლემები გვაქვსო. „ტორპედოს“ წუხილი ერთია და შედეგი მეორე — ქუთაისელებმა ბოლო ექვსი მატჩიდან ოთხი მოიგეს და ლიდერს ოდენ ექვსი ქულით ჩამორჩებიან. თბილისურ „მერანს“ ტორპედოელებმა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაუტანეს გადამწყვეტი ორი გოლი.

ერთი სიტყვით, მომავალი ტურის „ოლიმპი“ — „ტორპედო“ დიდ ინტერესს იწვევს.

ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ ამ ეტაპზე საშუალო გაქანების გუნდია და ჯერ იმის წინაპირობა არ ჩანს, რომ ადრინდელ სიძლიერეს დაიბრუნებს. თბილისის „ლოკომოტივთან“ ბოლნისელებს შთამბეჭდავად არ უთამაშიათ და ისე მოიპოვეს სამი ქულა. ისიც სათქმელია, რომ ლოკომოტიველებს ნიჭიერი შემტევი ლევან ყენია აკლდათ — ის ესპანურ „ლევანტეში“ ისინჯება.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 12 | 9 | 3 | 0 | 25:4 | 30 |
| ოლიმპი | 12 | 9 | 2 | 1 | 31:5 | 29 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 3 | 1 | 26:13 | 27 |
| ზესტაფონი | 12 | 8 | 3 | 1 | 18:3 | 27 |
| დინამო | 12 | 8 | 0 | 4 | 21:10 | 24 |
| ტორპედო | 12 | 7 | 3 | 2 | 16:7 | 24 |
| სიონი | 12 | 6 | 2 | 4 | 16:10 | 20 |
| ბორჯომი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:21 | 12 |
| ლოკომოტივი | 12 | 3 | 2 | 7 | 9:17 | 11 |
| მერანი | 12 | 3 | 2 | 7 | 9:23 | 11 |
| ჩიხურა | 12 | 2 | 3 | 7 | 9:21 | 9 |
| ბათუმი | 12 | 2 | 3 | 7 | 9:11 | 9 |
| დილა | 12 | 0 | 2 | 10 | 5:37 | 2 |
| ჯახეთი | 12 | 0 | 1 | 11 | 9:36 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 7-გელაშვილი | *ვიტ ჯორჯია* |
| 6-იაშვილი | *დინამო* |
| ტატანაშვილი | *ამერი* |
| დოლიძე | *ამერი* |
| ფიფია | *ზესტაფონი* |
| 5-ალავიძე | *სიონი* |
| გ. დათუნაიშვილი | *ვიტ ჯორჯია* |

### მომდევნო ტური

26 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი – ბორჯომი
ლოკომოტივი – ჯახეთი
მერანი – სიონი
ოლიმპი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – ამერი
ჩიხურა – დილა
ბათუმი – დინამო

### სიმბოლური ნაკრები

- ნიკა გელაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- სანდრო იაშვილი — *დინამო*
- რატი წინამძღვრიშვილი — *ამერი*
- ლაშა ძებაძე — *ოლიმპი*
- დავით გოლძვაძე — *ამერი*
- ზურაბ იონანიძე — *ზესტაფონი*
- გიორგი დათუნაიშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- ზვიად ჩხეტიანი — *ტორპედო*
- მიხეილ მახვილაძე — *ოლიმპი*
- დავით ძიძავიშვილი — *სიონი*
- გიორგი სომხიშვილი — *ბათუმი*

# დაკარგული რეალი და ლიონი

## ტოპმიოლერმა ჯაკობია მარკევიჩთან აჩხუბა

კიევის „არსენალის“ არსენალში ჯერჯერობით ორი ქართველია: ლაშა ჯაკობია და ჯაბა კანკავა

16 წლის იყო ლაშა ჯაკობია, მისი ნიჭი ბელგიურმა „სტანდარდმა“ რომ შეამჩნია და სარეზერვო გუნდში ჩარიცხა. ასაკთან ერთად ჯაკობიამ გამოცდილებაც შეიძინა და 18 წლისა „სტანდარდის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ძირითადი გუნდის მაისურა მოირგო...

თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ... ჯაკობია საზარდულის ტრავმის გამო მოედანს კარგა ხნით ჩამოშორდა. დაბრუნებას ისევ ტრავმა მოჰყვა და სტანდარდულ კარიერას საფრთხე დაემუქრა...

შემდეგ იყო „ლიეჟი“, „აალსტი“ და „მონსი“. ამ გუნდებში ლაშამ მცირე-მცირე ხანი დაჰყო, ასევე ბელგიურ „ვიზეში“ კი ჯაკობია თითქოს თავიდან დაიბადა და უმალ მიიქცია სხვა კლუბების ყურადღება — ფრანგულმა პსჟ-მ მიიწვია, მაგრამ ჯაკობია ტრავმამ არც საფრანგეთში „დაივიწყა“ — პირველივე ვარჯიშზე კუნთი გაუწყდა. ტრავმირებული ფეხბურთელის დატოვება კი პსჟ-მ, რა თქმა უნდა, აღარ ისურვა.

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ჯაკობიამ საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტა, ცოტა ხანი „თბილისში“ და „დინამოში“ გაატარა და მალე საბერძნეთს მიაშურა. იქაურ „იანინაში“ სამი თვე იბურთავა და გზა უკრაინაში გაიკვლია — ხარკოვის „მეტალისტში“ ჯაკობია ერთხელაც ათამაშდა, გუნდის ლიდერად იქცა. გულშემატკივარმა და ხელმძღვანელობამ მალევე შეიყვარა ქართველი ფეხბურთელი და ლაშა გუნდის კაპიტანი გახდა. წინა სეზონის ბოლოს ჯაკობიას და „მეტალისტის“ მწვრთნელ მირონ მარკევიჩის ურთიერთობა დაიძაბა. ლაშამ პროტესტის ნიშნად ხუთი ტური გამოტოვა, ახალი სეზონიდან კი „მეტალისტმა“ კიევის „არსენალში“ გაანათხოვრა და... ისევ ტრავმა...

— ოპერაცია ორი თვის წინ გავიკეთე გერმანიაში. ახლა სარეაბილიტაციო კურსს გავდივარ. ერთ თვეში ძუნძულს დავიწყებ, თამაშს კი მარტამდე ვერ შევძლებ.

**— კიევის „არსენალში“ განათხოვრების ვადა გიმთავრდება და „მეტალისტში“ დაბრუნდები?**

— ტრავმა რომ არა, შესაძლოა, დეკემბრიდან სხვა გუნდში გადავსულიყავი. ახლა კი იძულებული ვარ, „მეტალისტში“ დავბრუნდე. ხარკოველებთან კონტრაქტი მაისში მიმთავრდება და ზაფხულიდან თავისუფალი აგენტი გავხდები, ანუ სხვა გუნდში გადასვლის პრობლემა აღარ მექნება.

**— „მეტალისტში“ პრობლემები შარშანდელი სეზონის ბოლოს შეგექმნა. რა იყო ამის მიზეზი?**

— ძირითადი მიზეზი მწვრთნელთან უთანხმოება იყო. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მარკევიჩს ნაკრებში ჩემი გაშვება არ უნდოდა. მაშინ ტოპმიოლერი ახალი დანიშნული იყო და გამომიძახა. მარკევიჩმა მითხრა, თუ ნაკრებში წახვალ, მეორე გუნდში ითამაშებო. ეგონა, „მეტალისტს“ უფრო წინ დავაყენებდი, ვიდრე საქართველოს ნაკრებს. ისე გამოვიდა, რომ ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ მართლაც აღარ მათამაშა. თან რამდენიმე ვარიანტი მქონდა ევროპის და რუსეთის გუნდებიდან. ბოლო ვარიანტი რუმინული „სტიაუა“ იყო, მაგრამ გაშვება არ უნდოდათ და არარეალური ფასი — მილიონ რვაასი ათასი დოლარი მოითხოვეს და რუმინელებმაც უარი განაცხადეს. „მეტალისტს“ ჩემი გაშვება არც ახლა უნდა. ყოველდღე მირეკავენ და სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას მთავაზობენ, თუმცა მათი პირობები ჩემთვის მიუღებელია. სპორტული თვალსაზრისით, მათთვის ყველაფერი გავაკეთე, ახლა კი დროა, უკეთეს გუნდში ვითამაშო.

**— მაისიდან თავისუფალი აგენტი ხდები. ძველი წინადადებები ისევ რეალურია?**

— ტრავმის გამო მოლაპარაკება დროებით შეწყვეტილია, თორემ რამდენიმე ვარიანტი მაქვს რუსეთიდან, რუმინეთიდან, საფრანგეთიდან და ბელგიიდან. მაისამდე ფორმის აღდგენას მოვასწრებ და სასურველ ვარიანტს შემდეგ ავარჩევ.

**— ბელგიაში თამაშის გამოცდილება დიდი ხნის წინ მიიღე...**

— ასეა, მაგრამ ამ ეტაპზე სწორედ ბელგიის ვარიანტი მიზიდავს ყველაზე ნაკლებად, ამბიციური გუნდები არ არის, „გენტი“ კი საშუალო დონისაა. თანაც მიმაჩნია, რომ უკრაინის ჩემპიონატი გაცილებით სჯობია ბელგიისას. არ არის გამორიცხული, თამაში ისევ უკრაინაში გავაგრძელო. კიევის „არსენალის“ ახლანდელ მწვრთნელ ალექსანდრ ზავაროვთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. თავად „არსენალს“ ძალიან უჭირს და ზავაროვიც წასვლას აპირებს. თუ იგი უკეთეს გუნდში გადავიდა, შესაძლოა, მეც გავყვე.

**— მაღალი დონე არც რუმინეთში უნდა იყოს...**

— მართალია, მაგრამ იქ „სტიაუას“ ვარიანტი მაქვს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშობს. თავის დროზე „მეტალისტს“ ხელი რომ არ შეეშალა...

**— სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატების დონეს შევეხეთ. ახლა თბილისში ხარ და ალბათ ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს ესწრები. რა დონისაა საქართველოს ჩემპიონატი?**

— რომ გითხრა, ყველა გუნდის თამაში ვნახე-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ, რაც ვნახე, უკრაინის ჩემპიონატს, უბრალოდ, ვერ შევადარებ — ძალიან დიდი სხვაობაა. როგორ შეიძლება, ფინანსური პრობლემების გამო ფეხბურთი ფეხბურთი მოკლა?! საქართველოსთვის ხომ ფოთი იგივეა, რაც მსოფლიოსთვის ინგლისი. შესაძლოა, მსგავსი ფაქტები უკრაინაშიც მომხდარიყო, მაგრამ იქ გუნდების შენახვას ასეულ მეტი თანხა სჭირდება, ვიდრე აქ. ჩემი აზრით, არასწორი მიდგომაა ბავშვთა ფეხბურთშიც. საფეხბურთო ნიჭით ქართველები მარტო ბრაზილიელებს თუ ჩამოვრჩებით, მაგრამ მის გარეითარებაზე არავინ ფიქრობს. აქ რა თამაშებიც ვნახე, ფეხბურთელი არ მომწონებია. ამ დროს ძლიერი ჩემპიონატი ნაკრებისთვისაც კარგია — ნაკრები მარტო ლეგიონერების იმედად ხომ არ უნდა იყოს?!

**— სანაკრებო თემასაც მივადექით...**

— პროგრესი აშკარად იგრძნობა. პირველ რიგში თამაშის ხარისხი გამოსწორდა. ტოპმიოლერი ძალიან ძლიერი სპეციალისტია. მოვიდა ეს კაცი და მოიტანა დისციპლინაც, რაც ალბათ ყველაზე მეტად სჭირდებოდა ნაკრებს. თან ძალიან ყურადღებიანი კაცია. ოპერაციის შემდეგ მინახულა და იმედიც მომცა. ეს ყველაფერი მის დადებით თვისებებზე მეტყველებს. კარგი იქნება, თუ ტოპმიოლერს მუშაობის საშუალება მიეცემა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შედლიხმა სირაძეს ნაკრები მოუნონა

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში დავით სირაძის აუე-მ სტუმრად აუტსაიდერი „ესენი“ 1:0 დაამარცხა და ბუნდესლიგაში გადამსვლელ სამეულს შესამჩნევად მიუახლოვდა. ამ მატჩში სირაძეს თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია, თუმცა თამაშის შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გერდ შედლიხმა მისთვის საქებარი სიტყვები არ დაიშურა...

„სირაძე დღეს ცოტა ინერტულად გამოიყურებოდა და ეს გასაკვირი არც იყო. ოთხშაბათს საქართველო — ურუგვაის შეხვედრაში მან 80 წუთი გაატარა მოედანზე და გადაღლილი ჩანდა, თუმცა მე სირაძის იმედი ყოველთვის მაქვს და ბოლო წუთზე მისი შეცვლა მხოლოდ ტაქტიკური სვლა იყო.

...ნაკრებში გამოძახება სირაძისთვის დამატებითი სტიმულია. ის ეცდება, ეროვნულ გუნდში ადგილი დაიმკვიდროს და თამაშს მოუმატოს. ნაკრებში თამაში მას უფრო მეტ გამოცდილებას შესძენს, რაც ჩვენი გუნდისთვისაც კარგი იქნება“ — აღნიშნა შედლიხმა.

რამდენად გამოადგება აუე-ს დავით სირაძე მომავალში, ჯერ კიდევ საკითხავია, რადგან თბილისში ყოფნისას სირაძე სხვა გუნდში გადასვლის შესაძლო ვარიანტებზე გვესაუბრა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

გადრი ეფიციალურის ფოტო

# ელიავამ ხელი გაშალა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების მცველი ზაალ ელიავა წლეულს ტრავმებმა გატანჯა — ბოლო ორი თვე ხელის მოტეხვის გამო გაუცდა და ამ დღეებშიღა შეუდგა ვარჯიშს.

21 წლის მარცხენაფლანგელი 3 სექტემბერს საქართველო — სერბეთის ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრისას დაშავდა და მას შემდეგ არც ლატვიურ „სკონტოს“ დახმარებია.

ლატვიაში კი სეზონი უკვე დასრულდა: „სკონტომ“ მისთვის უკადრისი მესამე ადგილი დაიკავა.

**ოთარ მხეიძე**

# გიორგი ჭელიძე მადლობით დაბრუნდა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე შვიდთვიანი ტრავმიანობის შემდეგ რუსულ პრემიერლიგაში გამოჩნდა — რკინიგზელებმა პერმში 3:1 მოუგეს „ამკარს“ და ჩვენებური მეორე ტაიმში შევიდა შეცვლაზე. პირველი ტაიმი 1:1 მორჩა, მოედანზე გასვლიდან ათ წუთში კი ჭელიძემ საგოლე პასი მიართვა ტუნისელ ზუაგის და სწორედ ეს გოლი გამოდგა გარდამტეხი.

ნამატჩევს ზუაგის რუსი ჟურნალისტები გაესაუბრნენ და ტუნისელმაც მათ ეს უთხრა: „გიორგი ჭელიძის პასი რომ არა, ამ გოლს ვერ გავიტანდი. ჭელიძემ შესანიშნავად ითამაშა და, უბრალოდ, ვალდებული ვიყავი, შემეგდო“.

აქვე ვთქვათ, რომ მიმდინარე სეზონში ეს ოდენ მეოთხე პრემიერლიგური მატჩი იყო ჭელიძისთვის, რომელმაც უმძიმესი ტრავმა გადაიტანა.

**კახა შალამბერიძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# ჩრდილოეთ ირლანდიასთან საქართველოსთვის

უოლტერ სმიტი საქართველოსთვის ექსპერიმენტებს ატარებს

**ურუგვაისთან** მოგება კარგი კი არა, ძალიან კარგია, მაგრამ ნებისმიერი ქართველი ამ მატჩში მოგებას სიამოვნებით გაცვლიდა გლაზგოში 24 მარტს გამარჯვებაში.

ამ დღეებში არც შოტლანდიის ნაკრები იყო უქმად, უოლტერ სმიტმა ექსპერიმენტულ შემადგენლობას უხმო და დუბლინში ჩრდილოეთ ირლანდიას უგოლოდ გაეყარა.

სმიტმა საამმატჩოდ დევიდ ვეირი, დარენ ფლეტჩერი, კევინ მაკფადენი, კენი მილერი და სხვა ლიდერები დაასვენა — მეტწილად ახალგაზრდები ათამაშა, რომლებიც შოტლანდიურ პრემიერლიგაში ბურთაობენ.

აი, მათი შემადგენლობა: გალაჰერი (მ. ბრაუნი 46), ვაიტეკირი, სმიტი (ადამი 59), ბროუდფუტი (გრირი 54), ვებსტერი, სტიუარტი, ნეისმიტი, ს. ბრაუნი (ა. მილერი 54), ბოიდი, პირსონი, კლერკი (მაკკეველი 59).

ამ გუნდიდან ყველაზე გამორჩეული გლაზგოს „რეინჯერსის“ ფორვარდი კრის ბოიდია, რომელიც პრემიერლიგაში კარგ სეზონს ატარებს და გოლებიც უხვად გააქვს.

უოლტერ სმიტმა განაცხადა, ახალბედებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შეტევის დამამთავრებელ ფაზაში უკეთ გარჯა მართებდათო: „ჩვენ საგაისო შესარჩევი მატჩებისთვის ვემზადებით. 24 მარტს საქართველოს ნაკრებს ვმასპინძლობთ, სადაც პოლ ჰარტლი, კევინ მაკფადენი და დარენ ფლეტჩერი დაგვაკლდებიან. მათი სრულფასოვნად შეცვლა ძნელია, მაგრამ უნდა შევძლოთ. სწორედ ამიტომაც ვათამაშე ჩრდილოეთ ირლანდიასთან ექსპერიმენტული შემადგენლობა“.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ემპოლი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 15 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | კოტბუსი 4:2 | 90 | 1 გოლი | 10 | 3 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | კარლ ცაისი 1:2 | 90 | | 12 | 1 | 12 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | კარლ ცაისი 1:2 | 0 | ავადაა | 4 | 0 | 12 |
| დავით სირაძე | აუე | ს | ესენი 1:0 | 89 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 11 | 1 | 6 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | ს | კიოლნი 2:1 | 90 | | 7 | 0 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | დარმშტადტი | შ | ბაიერნი (მ) 2:2 | 0 | | 9 | 0 | 16 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | შ | სიონი 3:1 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 4 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლეკბერნი | შ | ტოტენჰემი 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებული | 11 | 0 | 15 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ფეიენოორდი 2:3 | 90 | | 11 | 6 | 3 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | აიაქსი 1:1 | 0 | | 1 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ამკარი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 3 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | ამკარი 3:1 | 43 | შეცვლაზე, საგ. პასი, შეცვალეს | 4 | 0 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | ს | სატურნი 2:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 5 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | სატურნი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 0 | 5 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | სატურნი 2:1 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 0 | 5 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | სატურნი 2:1 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 5 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | სატურნი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ბექა ულენტი | ტორპედო | ს | დინამო 1:2 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | ნალჩიკი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 18 | 4 | 10 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | ს | ცსკა 0:4 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 6 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | ს | კრილია 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 23 | 3 | 8 |
| ალექსანდრე ჩიხრაძე | ნალჩიკი | ს | კრილია 2:1 | 0 | დისკვალიფიცირებული | 26 | 0 | 8 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | ს | კრილია 2:1 | 90 | 1 გოლი | 5 | 1 | 8 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | შინიკი | შ | ზენიტი 1:2 | 69 | შეცვალეს | 17 | 1 | 16 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | შინიკი | შ | ზენიტი 1:2 | 0 | | 13 | 0 | 16 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | არსენალი 5:2 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | არსენალი 5:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ტავრია 1:2 | 0 | | 12 | 2 | 8 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | შახტარი 0:3 | 90 | | 13 | 3 | 12 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | შახტარი 0:3 | 0 | | 9 | 3 | 12 |
| ლევან სილაგაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | შახტარი 0:3 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | კარპატი 1:0 | 90 | | 12 | 0 | 7 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | შ | კარპატი 1:0 | 90 | | 10 | 0 | 7 |
| გიორგი შაშიაშვილი | ჩერნომორეცი | შ | კარპატი 1:0 | 36 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 7 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ხარკოვი 3:1 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 15 | 8 | 9 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | შ | ხარკოვი 3:1 | 76 | შეცვალეს | 14 | 1 | 9 |
| კახა ალადაშვილი | დნიპრო | ს | მეტალისტი 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 4 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | ს | მეტალისტი 0:1 | 0 | | 2 | 0 | 4 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | ს | დინამო 2:5 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 4 | 6 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | ს | დინამო 2:5 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 2 | 6 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | ზარია 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 16 |
| სერგო ორბელაძე | ილიჩევეცი | შ | ვორსკლა 2:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 13 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | შ | ქსანთი 0:2 | 90 | | 7 | 0 | 12 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | პანიონიოსი 2:0 | 90 | | 8 | 0 | 10 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | ესბიერგი 1:1 | 0 | | 2 | 0 | 9 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ლოძი | შ | ვისლა 2:1 | 0 | | 4 | 0 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| ვლადიმერ კაკაშვილი | რილსკი | ს | ბელასიცა 1:4 | 90 | | 5 | 0 | 14 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## E ჯგუფი

# ვინ შეაღებს კუპეს კარს?

## ლიონი ლიგაში მშრალად მოგზაურობს


გრეგორი კუპე

**რეალი — ლიონი**

**საამსეზონო** ლიგის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ჟერარ ულიეს „ლიონი" „სანტიაგო ბერნაბეუს" ესტუმრება. ტურნირის ჯგუფური ეტაპის მონაწილეთაგან ეს გუნდი ერთადერთია, ოთხ თამაშში ქულაც რომ არ დაუკარგავს. როგორც „ლიონი", ისევე „რეალი" უკვე ლიგის მერვედფინალში არიან, ამიტომაც ჯგუფის ლიდერებს შორის ომი პირველი ადგილისთვის მიმდინარეობს. ამისთვის ულიეს შეგირდებს „ბერნაბეუზე" ფრეც ჰყოფნით, თუმცა მადრიდელები პირველ ტურში საფრანგეთში განცდილი მარცხისთვის ვენდეტას მოინდომებენ. „ვიცით, რომ ესპანეთში რთული თამაში გველოდება. „რეალს" ვან ნისტელროი ჰყავს, რომელსაც შეუძლია, მატჩის ბედი მარტომ გადაწყვიტოს. თუმცა ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, „ლიონის" სიძლიერეში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული" — განაცხადა ბრაზილიელმა კრისმა ჟურნალისტებთან საუბარში.

„ლიონი" ესპანეთის სატახტოს რამდენიმე მიზნის ასასრულებლად მოინახულებს. თუ ულიეს ბიჭებმა სამშაბათს „რეალი" დაამარცხეს და „სტიაუასთანაც" ბოლო ტურში სამი ქულა მოიპოვეს, ლიგის არსებობის ისტორიაში მეორედ მოხდება, რომ გუნდი ჯგუფური ეტაპის ექვსივე მატჩში გამარჯვებას იზეიმებს (ასეთი რამ 2002-03-ის სეზონში მხოლოდ „ბარსელონამ" შეძლო). ასევე, თუ „ლიონმა" დარჩენილ ორ შეხვედრაში გოლი არ გაუშვა, ლიგაში პირველი გუნდი იქნება, რომელმაც ჯგუფი „მშრალად" დაასრულა. არსებობს მესამე მიზანიც, „თარს" ესპანურ სტადიონებზე გამარჯვება. ფრანგები აქამდე ოთხჯერ მისულან პირინეულ სტადიონებზე საბურთაოდ, სამჯერ წაუგიათ და მხოლოდ ერთხელ მოუგიათ. ეს 2003-04 წლების სეზონში „სოსიედადთან" შერკინებისას მოხდა.

ჟერარ ულიეს თავდასხმაში პრობლემები ექნება. „ლიონი" დღეს ტრავმების გამო ფრედს, ბენზემას ვილტორდს და გოვუს მოისაკლისებს, თუმცა ფრანგებს მეტოქისთვის სახიფათო სხვა ხალხიც ბლომად ჰყავს, დაშავებულები რომ შეცვალონ — კარეუ, ბენ არფა და რემი.

„რეალს", სავარაუდოდ, გუტი და ფაბიო კანავარო ვერ დაეხმარებიან. ორივე ფეხბურთელი პრიმერა-დივიზიონის მეთხუთმეტე ტურში „რასინგთან" თამაშისას დაშავდა. ფაბიო კაპელოს მოწაფეებმა „ლიონთან" ხსენებული ჯახის გარდა ყველა მატჩი მოიგეს. ბოლოს მადრიდელებს მეკარე ნიკოლიტას მიერ ავტოგოლით დაღდასმული ბუქარესტის „სტიაუა" შეეწირა.

სამეფო გუნდს ფრანგულ კლუბებთან შინ ბურთაობა კარგად აქვს დაცდილი. გალები „ბერნაბეუზე" შვიდჯერ ჩამოსულან და ხუთჯერ გაწბილებულნი დაბრუნებულან. იმ ორი შეხვედრიდან კი ერთი ფრედ დასრულდა.

„რეალში" ამჟამად ძველი მანჩესტერელი რუუდ ვან ნისტელროი თამაშობს, რომელმაც „ლიონს" ადრინდელ სამ მატჩში სამი გოლი შეუგდო. „ბერნაბეუზეა" მაჰამადუ დიარაც, ვინც ადრე ლიონელი გახლდათ და სამეფო გუნდმა 2006 წლის ზაფხულში იყიდა. „ლიონში" ოთხი შესანიშნავი სეზონი გავატარე, თუმცა დღეს „რეალის" ფეხბურთელი ვარ და მხოლოდ ამ გუნდის მოგება მაინტერესებს. „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ლიონს" ძალიან გაუჭირდება" — უთხრა მედიას დიარამ.

**სტიაუა — დინამო**

**ბუქარესტში** კი ერთმანეთთან ურთიერთობას აუტსაიდერები გაარკვევენ. რუმინელებმა და უკრაინელებმა მერვედფინალში მოხვედრის ყველანაირი შანსი დაკარგეს, თუმცა სამშაბათს უეფაზე მოსახვედრად იბრძოლებენ. „სტიაუას" ოდნავ უკეთ აქვს საქმე, ამ გუნდმა ლიგის ოთხ ტურში სამი ქულა მაინც მოახლაფორთა, როცა პოსტსაბჭოელებს ერთიც ვერ მოუპოვებიათ. რუმინელები შინაურ სტადიონზე ფრეს თუ ითამაშებენ, უეფაზე გადანაცვლების მისია წარმატებით დაგვირგვინდება. იქ კი ვინ იცის, იქნებ თავის გამოჩენაც შეძლონ, შარშან ხომ ნახევარფინალს მიაღწიეს...

დემიანენკოს გუნდმა ლიგაზე მარცხიანად სვლა სწორედ „სტიაუასთან" დაიწყო, მაშინ „დინამო" მეზობელთან 1:4 განადგურდა, ოღონდ მერე წარმატებას ვერც ბუქარესტელები ეღირსნენ. „დინამოს" შეჭმას „ლიონთან" 0:3 და „რეალთან" ორგზის წაგება მოჰყვა.

აღმოსავლეთევროპელები ერთმანეთს სულ ხუთჯერ შეხვედრიან. სტატისტიკა ორი მოგებით, ერთი წაგებით და ერთი ფრით „სტიაუას" მხარესაა, თუმცა ბუქარესტის კლუბს უკრაინულ გუნდებთან შინ არასდროს გაუმარჯვია, ხოლო „დინამოს" რუმინეთში არ წაუგია.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 12 |
| რეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| სტიაუა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

## F ჯგუფი

# სქოთური გარჩევა ტბის პირას

ფერგიუსონი სტრაჩანს: თქვენ მეორე ადგილიც გეყოფათ

**სელტიკი — მანჩესტერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტიკი:** ბორუცი, ტელფერი, ნეილორი, ბალდე, მაკმანუსი, გრავესენი, ნაკამურა, ლენონი, მაკგიდი, მილერი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი, საა

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**ბრიტანეთში** ამბობენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ამ ტურის მატჩებს შორის შეუძლებელია გამოერიოს სხვა ისეთივე დაძაბული და ვნებათაღელვით აღსავსე, როგორიც გლაზგოში, „სელტიკსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის გაიმართება. „პარკჰედზე" ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან ფანატიკოს ქომაგთა სიგიჟემდე საყვარელი გუნდები, რომელთაც ფანატიკოსი სქოთი მწვრთნელები უდგანან სათავეში და რაც მთავარია, ორივეს კარგად მოეხსენება, რომ გამარჯვების შემთხვევაში პლეი-ოფში გაინაღდებენ ადგილს.

„სელტიკი" რომელმაც შოტლანდიის ჩემპიონატში ზედიზედ 11 გამარჯვება მოიპოვა, მანჩესტერელებს სამი ქულით ჩამორჩება და თუ მოიგებს, როგორც გითხარით, პლეი ოფში მოხვდება, ოღონდ არ გვითქვამს, რომ ეს ისტორიაში პირველად მოხდება. საინტერესოა ისიც, რომ მეტოქეთა მწვრთნელებს, გორდონ სტრაჩანსა და ალექს ფერგიუსონს ერთმანეთთან დაძაბული პიროვნული ურთიერთობა ჰქონდათ. ცნობისათვის: სტრაჩანი ფერგიუსონის ხელქვეით ჯერ „აბერდინში" თამაშობდა და შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედში". მოგვიანებით როგორც ერთმა ასევე მეორე სპეციალისტმა გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელშიც ერთმანეთზე მთლად დამაქრული სიტყვები არ დაუწერიათ. კერძოდ, სტრაჩანმა ფერგიუსონს მწვრთნელობა დაუწუნა, ფერგიუსონმა კი ყოფილ შეგირდზე თქვა, მაგ კაცის ნდობა არ შეიძლებაო.

ფსიქოლოგიური თამაშები ფერგიუსონისა და სტრაჩანის ამ დაპირისპირების წინაც გაჩაღდა. მაგალითად, ფერგიმ პრესკონფერენციის გამართვა კატეგორიულად მოითხოვა „პარკჰედიდან" რაც შეიძლება შორს. ეს რაც შეიძლება შორს კი აღმოჩნდა ლოხ ლომონდის ანუ ლომონდის ტბისპირა სასტუმრო, სადაც მანჩესტერული გუნდი არის დაბინავებული. გარდა ამისა, ფერგიუსონმა მატჩის წინა დღეს საკუთრივ „პარკჰედზე" ვარჯიში იუარა, ასეთ რამეს კი გუნდები არასდროს აკეთებენ. ამის შემყურე ბრიტანულმა გაზეთებმა დაწერეს, რომ „სელტიკისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩი უფრო ორი შოტლანდიელის პირადი მტრობის გარჩევაა, ვიდრე ფეხბურთი.

— „პარკჰედზე" იმიტომ უნდა მოვიგოთ, რომ პირველ ადგილზე გავიდეთ, მაგრამ თუ გვინდა წარმატებით ვითამაშოთ, ვაჟკაცობა და მენტალური ძლიერება უნდა გამოვავლინოთ — ამბობს წარმოშობით გლაზგოელი ფერგიუსონი — ვფიქრობ თამაში ამაღელვებელი იქნება, მაყურებელი ღია, შემტევ ფეხბურთს იხილავს, ისეთს, როგორიც ჩვენს გუნდებს შორის სექტემბერში გაიმართა, „მანჩესტერმა" „სელტიკს" 3:2 რომ მოუგო, რაც შეეხება „სელტიკს", მას მეორე ადგილზე გასვლას ვუსურვებ, რაც ამ კლუბისთვის და შოტლანდიური ფეხბურთისთვის დიდი პროგრესის ნიშანი იქნება".

გორდონ სტრაჩანის გასახარად, დღეს საღამოს მის განკარგულებაში იქნებიან იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი და თომას გრავესენი.

„ეს ფეხბურთელები „ბენფიკასთან" ძალიან გვაკლდნენ. იმედი მაქვს, „მანჩესტერთან" ისინი გადამწყვეტ სიტყვას იტყვიან" — განაცხადა სტრაჩანმა.

**ბენფიკა — კოპენჰაგენი**

**პორტუგალიელებმა** ორი კვირის წინ „სელტიკს" შთამბეჭდავად მოუგეს და, რაა გასაკვირი, ამჯერადაც შთამბეჭდავი გამარჯვების იმედი აქვთ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლისაბონელთა მეტოქე „კოპენჰაგენია" ანუ გუნდი, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა. ერთი სიტყვით, როგორც ერთს ასევე მეორეს, პლეი ოფში, შეუძლიათ გასვლა.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — როგორც ერთს ასევე მეორეს ახლავე შეუძლია შეჯიბრებიდან გავარდნა. როგორ? ძალიან მარტივად, ჩვეულებრივი წაგებით. რაც შეეხება ფრეს, ფრის შემთხვევაში „ბენფიკასა" და „კოპენჰაგენს" „იქითა" მატჩში „სელტიკის" მოგება აწყობს.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| კოპენჰაგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | 4 |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT
SLOT POKER CLUB VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## G ჯგუფი

# მფრინავი ზეიმი შამპანურის ბოთლით

**ცსკა — პორტუ**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ცსკა:** აკინფეევი, შემბერასი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, კრასიჩი, ალდონინი, რახიმიჩი, ჟირკოვი, დუდუ, დანი კარვალიუ, ვაგნერ ლავი

**მწვრთნელი:** ვალერი გაზაევი

**პორტუ:** ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბ. ალვეში, მ. ჩეხი, მეირელეში, ლ. გონსალესი, იბსონი, კვარესმა, პოშტიგა, ლ. ლოპესი

**მწვრთნელი:** ჟესუალდო ფერეირა

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

ვალერი გაზაევი „პორტუს“ რუსეთის ჩემპიონის რანგში ეთამაშება

**გუშინწინ** დილით ვლადივოსტოკიდან მოსკოვში დაბრუნდა ცსკა, რომელმაც შორეულ აღმოსავლეთში „ლუჩ-ენერგია“ 4:0 დაამარცხა და ზედიზედ მეორედ გახდა რუსეთის ჩემპიონი. ოთხივე გოლი ბრაზილიელებმა „დახატეს“, დუდუმ ორი საგოლე პასი მიითვალა, დანი კარვალიუმ ანგარიში გახსნა, ხოლო ვაგნერ ლავმა ჰეთ თრიქი შეასრულა. ვლადივოსტოკიდან მოსკოვამდე ცსკა-მ 10 საათი იფრინა და რუსული მედიის ცნობით, თვითმფრინავის სალონი შამპანურით გაწუწეს, თუმც ვალერი გაზაევმა ცნობა უარყო და თქვა, „პორტუსთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის და საზეიმოდ არ გვცალიაო. მართალიცაა, რადგან გამარჯვების შემთხვევაში მოსკოვური კლუბი, რომელმაც შარშან უეფას თასი მოიგო, მერვედფინალის საგზურს გაინაღდებს. „არავითარი ზეიმი, ჩემპიონობა უნდა დავივიწყოთ და „პორტუზე“ ვიფიქროთ“ — განაცხადა არმიელთა მწვრთნელმა.

ვალერი გაზაევს ჯგუფიდან გასვლის დიდად ეიმედება, რაკი მისმა გუნდმა უშუალო კონკურენტ „არსენალს“ ორ მატჩში ოთხი ქულა აართვა. მოსკოვში 1:0 მოუგო, ხოლო ლონდონში უგოლოდ დაუზაჯდა. ცსკა-ს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც არ გაუშვია გოლი და ჯგუფშიც მოახერხა კარის მშრალად შენახვა. აღსანიშნავია, რომ ცსკა და „პორტუ“ ლიგაში აქამდე სამჯერ შეხვდნენ და აქედან ორჯერ თამაში უგოლოდ დასრულდა, 2004 წლის 24 ნოემბერს კი „პორტუმ“ მოსკოვში 1:0 მოიგო. ცსკა-მ ბოლო ათი საშინაო ევრომატჩიდან ცხრაში იმარჯვა, ხოლო „პორტუ“ ცხრა გასვლითი შეხვედრიდან ექვსში დამარცხდა.

პორტუგალიელებმა გასულ უქმეებზე ჩემპიონატში „კადმიკს“ მოუგეს 2:1 და მეორე გოლი მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე გაიტანეს. გუნდს აშკარად ნერვიულობა ეტყობოდა და „პორტუს“ მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ თამაშის მერე ცსკა-ზე ლაპარაკი იუარა. პორტუგალიურ გუნდს ბრაზილიელი გამთამაშებელი ანდერსონი დააკლდება, რომელიც ამ სეზონში ლიდერად იქცა. ანდერსონმა გუშინწინ ოპერაცია გაიკეთა და, სავარაუდოდ, სამი თვე დასვენება მოუწევს, ხოლო პედრო ემანუელი ფორმაში არაა და მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში არ დააყენებს. სამაგიეროდ, მომჯობინდნენ ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო და მისი თანამემამულე იბსომი, რომელსაც ტრავმის გამო ორი თვე გაუცდა. რაც შეეხება ცსკა-ს, დაცვის მთავარი ფიგურა სერგეი იგნაშევიჩი ტრავმირებულია და ასევე ვერ ითამაშებს ბრაზილიელი ჟო, რომელიც თითქმის მთელი შემოდგომა უქმობდა.

**არსენალი — ჰამბურგი**

**„ჰამბურგის“** საქმე ისეა, რომ ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ყველაფერი მოამთავრა — მერვედფინალის საგზური კი არა, უეფას თასზეც ვერ ითამაშებს, რადგან ორივე დარჩენილი შეხვედრის მოგების შემთხვევაშიც კი მესამე ადგილს ვერ შესწვდება. თომას დოლის გუნდს ძალიან ცუდად აეწყო საქმე ბუნდესლიგაშიც, სადაც 13 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ამიტომაცაა ცხრილში ბოლოდან მეორე. „ჰამბურგის“ დაჩაჩანაკების მიზეზი კი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა ტრავმებია, რომლებიც ერთმანეთს გადაება და დოლსაც გუნდი დაეშალა. აი, ასეთ „ჰამბურგს“ მასპინძლობს დღეს „არსენალი“ ლონდონში, სადაც გასულ უქმეებზე „ნიუკასლს“ ვერ აჯობა, რამაც ქომაგთა გვარიანი წყრომა გამოიწვია — „ნიუკასლი“ ხომ პრემიერლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია. „არსენალი“ ცსკა-სთან მოსკოვურ მატჩში, შეიძლება ითქვას, დაითარსა — იქ მსაჯმა ანრის გოლი არ ჩაუთვალა და „მეთოფეები“ დამარცხდნენ, საპასუხო შეხვედრაში კი ვენგერის გუნდმა აურაცხელი მომენტი შექმნა და ჯერაც ვერ აუხსნია ფრანგ მწვრთნელს, თუ როგორ დასრულდა ის მატჩი 0:0, არადა, 7:0 მაინც უნდა დამთავრებულიყო. „არსენალს“ დღეს აუცილებლად მოგება სჭირდება, რათა ბოლო ტურისთვის ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნოს — ბოლო ტურში „მეთოფეები“ „პორტუს“ ესტუმრებიან. „არსენალს“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო 12 საშინაო მატჩში არ წაუგია და აქედან ბოლო შვიდში გოლი არ გაუშვია. გერმანულ კლუბებთან „მეთოფეებს“ შინ დადებითი ბალანსი აქვთ. მათი ათი დაპირისპირებიდან რვაში გამარჯვება ინგლისურ გუნდს დარჩა და მხოლოდ ერთხელ, ათი წლის წინ, უეფას თასის მატჩში დამარცხდნენ „გლადბახთან“ „ჰაიბერიზე“ — 2:3.

| | ირაკლი | | | | ნინიძე | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 2 | 2 | 0 | 2:0 | 8 |
| პორტუ | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ჰამბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

## H ჯგუფი

# ფერერი: რომელი ფერარი აეკია, მილანს გაასწროს

**აეკ — მილანი**

**„მილანი“** კრიზისშია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში საქმე ჯერჯერობით კარგად მისდის და „როსონერი“ დღეს ალბათ ოფიციალურად გაინაღდებს მერვედფინალის საგზურს. თუ კარლო ანჩელოტის გუნდი დღეს ათენში სამი ან მეტი ბურთის სხვაობით არ წააგებს, ჯგუფიდან ღიღინით გავა.

აეკ-მა წინა ტურში, ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებული 22 მატჩიდან პირველად მოიგო და ამით ფრთაშესხმული ათენელები მორიგი წარმატების მისაღწევად ემზადებიან. მოგების შემთხვევაში სერა ფერერის გუნდს ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი ექნება.

ეს კლუბები აქამდე სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. „სან სიროზე“ გამართული ორივე შეხვედრა „მილანმა“ მოიგო, ხოლო ათენში მატჩი უგოლოდ დასრულდა. სულ აეკ-ს იტალიურ გუნდებთან 15-ჯერ უთამაშია და აქედან მხოლოდ ერთხელ მოუგია — 1971-72 წლების სეზონში შინ მილანის „ინტერს“ სძლია 3:2. აპენინელ მეტოქეებთან ბოლო ოთხი საშინაო შეხვედრა ბერძნებმა ფრედ დაასრულეს.

„მილანმა“ ევროსარბიელზე ბოლო შვიდ საგარეო მატჩში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა. ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად ჩატარებულ ოთხ უკანასკნელ შეხვედრაში კი კარს სულაც მშრალად ინახავს. „როსონერი“ საბერძნეთს სულ სამჯერ სწვევია, სამივე თამაში ფრედ დასრულდა.

„ყველას გვესმოდა, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა „ლილთან“ მატჩს. ჩვენ ისტორიაში შესვლა შეგვეძლო და საბოლოოდ დაძაბულ ბრძოლაში მივაღწიეთ კიდეც მიზანს. გულშემატკივართა სიხარულს და იმ ზეიმს არასდროს დავივიწყებთ, ქომაგების მეხსიერებაშიც სამუდამოდ ჩაიბეჭდა. ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია, ყველაფერი ჩვენს ხელშია. ვფიქრობ, ჯერჯერობით ძალიან ღირსეულად ვთამაშობთ. ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილებით, „მილანს“ რომ შევეშვათ, „ლილსა“ და „ანდერლეხტსაც“ ვერ შევედრებით, თუმცა ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ. მთავარია, ასე სწორ გზაზე სვლა გავაგრძელოთ. არავისი არ გვეშინია და ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია“ — განაცხადა სერა ფერერმა.

„ახლა რთულ ვითარებაში ვართ, მაგრამ ამ სეზონს 2002-03 წლებისას ვადარებ, როცა სერია A-ში ისევე პრობლემები გვქონდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში დიდ წარმატებას მივაღწიეთ“ — აღნიშნა „მილანის“ ვეტერანმა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ.

**ლილი — ანდერლეხტი**

**„ლილი“** ამ სეზონშიც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სამი კვირის წინ ათენში აეკ-თან წაგებით კლოდ პუელის შეგირდებმა ამოცანა ერთიორად გაირთულეს. თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ფრანგებმა დღესვე გაინაღდონ მერვედფინალის საგზური. ამისთვის მათ „ანდერლეხტი“ უნდა დაამარცხონ, ხოლო „მილანმა“ საბერძნეთში არ უნდა წააგოს.

„ლილს“ ცოტა გააქვს და ცოტას უშვებს. ევროსარბიელზე ბოლო 11 საშინაო მატჩში ფრანგებმა რვაჯერ კარი მშრალად შეინახეს. ჩემპიონთა ლიგაში უკანასკნელი ათი თამაშიდან შვიდში კი გოლი ვერ გაიტანეს.

„ანდერლეხტმა“ ევროტურნირებზე გამართული ბოლო 14 მატჩიდან 11 წააგო. სამაგიეროდ, ბელგიელები ფრანგულ კლუბებთან დადებითი ბალანსით დაიკვეხნიან — სტუმრად ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მარცხი.

შეგახსენებთ, რომ ამ კლუბების პირველი მატჩი ბელგიაში 1:1 დასრულდა.

| | კოკი | | | | კანდელაკი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ლილი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| აეკ | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |

პაოლო მალდინი იმედიანადაა

# ადამიანი-საჩუქარი

## პანჩო, რომელსაც ჩურჩულით ხუმრობა უყვარდა

**მადრიდში გუშინ „რეალის“ ვეტერანები შეიკრიბნენ — დი სტეფანო, სანტამარია, პაჩინი, ზოკო, ველასკესი, ამანსიო... როგორც წესი, ესენი რომ ხვდებიან, სულ სიცილ-ხარხარსა და ძველი ანეკდოტების გახსენებაში არიან, თუმცა ეს შეკრება სევდიანზე სევდიანი გამოდგა — რეალელებს ხომ ლეგენდარული ფერენც პუშკაში სამუდამოდ გამოაკლდა... სამეფო გუნდის ოქროს თაობის წარმომადგენლებმა მედიასთან მითიურ თანაგუნდელზე ისაუბრეს**

*ხოსე ემილიო სანტამარია,* დაიბადა მონტევიდეოში 1929 წლის 31 ივლისს. „რეალში“ მისვლის თარიღი: 1957 წლის 28 მაისი. კლუბიდან წასვლის თარიღი: 1966 წლის 30 ივნისი. ჯილდოები: ექვსი ესპანური პრიმერადივიზიონი, ოთხი ჩემპიონთა თასი, ესპანეთის თასი, საკონტინენტთაშორისო თასი.

„პანჩოს გარდაცვალების გამო გული ძალიან მეტკინა, დიდი მეგობრები ვიყავით... ვიცოდით, რომ იგი ავად იყო, მაგრამ, როგორც წესი, სიკვდილზე ხომ არასდროს ფიქრობ ხოლმე. ფერენც პუშკაში დიდებული ადამიანი და ბრწყინვალე ფეხბურთელი გახლდათ, რომელიც ყოველთვის გამარჯვებისკენ მიისწრაფვოდა და მსოფლიო ფეხბურთში თავისი განუმეორებელი კვალი დატოვა. მისი სპორტული ჯილდოები ნებისმიერ ფეხბურთელს შეშურდება. მე კი სათაყვანო მეგობარი დავკარგე...“

*ერიკე ჰერეს დიას „პაჩინი“,* დაიბადა ტორელავეგაში 1938 წლის 28 დეკემბერს. „რეალში“ მისვლის თარიღი: 1959 წლის 1 ივლისი. კლუბიდან წასვლის თარიღი: 1968 წლის 27 მაისი. ჯილდოები: შვიდი ესპანური პრიმერადივიზიონი, ორი ჩემპიონთა თასი, ესპანეთის თასი, საკონტინენტთაშორისო თასი.

„რამდენიმე დღის წინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ანხელ მარია ვილიარს შევხვდით და მან გვითხრა, რომ პანჩოს ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. თუმცა ნამდვილად არ ველოდებოდი, ასე მალე თუ მორჩებოდა ყველაფერი... პუშკაში მსოფლიო ფეხბურთის ბრილიანტი იყო, ხოლო, როგორც პიროვნება, უფრო უკეთესი გახლდათ, ვიდრე მოთამაშე. ვამაყობ, რომ წლების განმავლობაში ასეთი კაცის გვერდით ვიდექი.“

*იგნასიო ზოკო ესპარსა,* დაიბადა გარდეში 1939 წლის 31 აგვისტს. „რეალში“ მისვლის თარიღი: 1962 წლის 1 აგვისტო. კლუბიდან წასვლის თარიღი: 1974 წლის 30 ივნისი. მთავარი ჯილდოები: შვიდი ესპანური პირმერადივიზიონი, ორი ჩემპიონთა თასი, ესპანეთის თასი.

„სიტყვები არ მყოფნის, პუშკაშის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება რომ გამოვხატო. იგი საოცარი ფეხბურთელი იყო, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო. ჩემთვის კი, უბრალოდ, „პაკო“ პუშკაში იყო, დიდი მეგობარი, რომელიც დავკარგე... პუშკაშთან ძალიან ბევრი მოგონება მაკავშირებს, თუმცა ემოციის გამო ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით...“

*მანუელ ველასკეს ვილიაკერდე,* დაიბადა მადრიდში 1943 წლის 24 იანვარს. „რეალში“ მისვლის თარიღი: 1958 წლის 1 აგვისტო (ახალგაზრდული გუნდი). 1965 წლის 7 იანვარი (ძირითადი). კლუბიდან წასვლის თარიღი: 1977 წლის 31 აგვისტო. ჯილდოები: ექვსი ესპანური პრიმერადივიზიონი, ჩემპიონთა თასი, სამი ესპანეთის თასი.

„პუშკაშთან ერთად მადრიდში მხოლოდ ერთი სეზონი ვითამაშე, მაგრამ ეს საკმარისი იყო, რათა პანჩოს როგორც საფეხბურთო, ისევე პიროვნულ თვისებებს მოვეხიბლე. როცა პატარობისას სტადიონზე მისი თამაშის საყურებლად დავდიოდი, ვფიქრობდი, რომ პუშკაშისნაირი ზუსტი პასის მიცემა და ძლიერად დარტყმა არავის შეუძლია. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა და პანჩოზე დღესაც იმავეს ვფიქრობ... მსოფლიოს ფეხბურთმა ძალიან დიდი კაცი დაკარგა.“

*ამანსიო ამარო ვარელა,* დაიბადა ლა კორუნიაში 1939 წლის 16 ოქტომბერს. „რეალში“ მისვლის თარიღი: 1962 წლის 1 ივლისი. კლუბიდან წასვლის თარიღი: 1976 წლის 30 ივნისი. ჯილდოები: ცხრა ესპანური პრიმერადივიზიონი, ჩემპიონთა თასი, სამი ესპანეთის თასი, ორგზის „პიჩიჩის“ (პრიმერადივიზიონის მთავარმეგოლის) ტიტული, 1969 და 1970 წლებში.

„საშინელებაა, პანჩო რომ დავკარგეთ, მაგრამ მისთვის სიკვდილი, შეიძლება, შვებაც იყო, დიდი ხნის განმავლობაში ძალიან იწვალა. უნგრეთში ბოლოს ორჯერ მოვინახულე. პირველი სტუმრობისას შედარებით ჯანზე გახლდათ, თუმცა მეორედ ნანახმა და შემდეგ მეგობრების მონაყოლმა სულით ხორცამდე შემძრა. პუშკაშისნაირი ადამიანი სიბერეში ავადმყოფობით ასე წვალებას არ იმსახურებდა და კარგია, მარადიული ძილით რომ დაისვენა...

მის შესახებ ბევრი რამ შემიძლია გითხრათ, პუშკაშის, დი სტეფანოს და პაკო ხენტოს გვერდით ბურთაობა დიდი პატივი იყო ჩემთვის. პანჩოსთან ერთად თავდასხმაში ვთამაშობდი და მატჩების დროს ერთმანეთს ვეხუმრებოდით — თუ არაზუსტ პასს მივცემდი, ხალხის დასანახად მხარზე ხელს დამკრავდა, ვითომც ეგ არაფერიო, ისე კი ხმადაბლა საშინლად გამაშიყირებდა... დიდი ადამიანი იყო, ბრწყინვალე ფეხბურთელობასთან ერთად, ბუნებამ იუმორის დიდი გრძნობითაც დააჯილდოვა, ოღონდ — თავისებური იუმორის...

მაშინ ამბობდნენ, ამანსიო და პუშკაში მოედანზე ერთმანეთთან ძაღლსა და კატასავით არიანო. კი, პანჩოსთვის მაგარ-მაგრები მეც მითქვამს, მაგრამ მოედანზე ბრწყინვალე დუეტი გვქონდა. ცხოვრებაშიც ავკარგიანი გახლდათ. არ მახსოვს, მასთან რომელიმე უნგრელი ემიგრანტი მისულიყო და პუშკაშს მისთვის ხელი არ გაემართა. პანჩო სამშობლოდან წამოვიდა, ისე კი მთელი ცხოვრება უნგრეთის ერთგული პატრიოტი იყო...

ფეხბურთში ორი სათაყვანო კერპი მყავდა, რომელთაგან დღეს, ცოცხალი მხოლოდ ალფრედო დი სტეფანოა. როცა პუშკაშის და დი სტეფანოს სახელებს ახსენებ, მოწიწების ნიშნად ფეხზე უნდა წამოდგე...“

*ალფრედო დი სტეფანო ლალუე,* დაიბადა ბუენოს აირესში 1926 წლის 4 ივლისს. „რეალში“ ჩარიცხვის თარიღი: 1953 წლის 22 სექტემბერი. კლუბიდან წასვლის თარიღი: 1964 წლის 30 ივნისი. მთავარი ჯილდოები: რვა ესპანური პრიმერადივიზიონი, ხუთი ჩემპიონთა თასი, ესპანეთის თასი, საკონტინენტთაშორისო თასი, ორი კოპა ლატინა, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი 1957 და 1959 წლებში, „პაჩიჩის“ ტიტული 1953-54, 1955-56, 1957-58 და 1958-59 წლების სეზონებში.

**— პუშკაშის გარდაცვალების ამბავი როგორ შეიტყვეთ?**

— სახლში დილის შვიდ საათზე დამირეკეს, რათა ეს საშინელი ამბავი ეცნობებინათ.

**— თავს, ალბათ, დათრგუნულად გრძნობთ...**

— მე მეგობარი დავკარგე, ფლიო ფეხბურთმა კი — საოცარი ვარსკვლავი. ასეთი იყო პუშკაში, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება.

**— ფერენც პუშკაში ბოლოს როდის ნახეთ?**

— ბოლოს ორი წლის წინ ბუდაპეშტში ვნახე, როცა სხვა ვეტერანებთან ერთად მის საპატივცემულოდ გამართულ მატჩს დავესწარი.

**— თქვენი მეგობრის შესახებ რას გაიხსენებდით?**

— პუშკაში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ერთმანეთთან დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს და სიკვდილმა ახლა პანჩოც წაგვართვა. ჩვენ თითქმის ტოლები ვიყავით — იგი 27 აპრილს დაიბადა, მე — 26 ივლისს. ვისთანაც ფეხბურთი მითამაშია, პუშკაში მათ შორის საუკეთესო გახლდათ.

**— თქვენ ერთ-ერთი იმათგანი ხართ, რომელიც ფერენც პუშკაშის სტადიონს მიღმა ცხოვრებას იცნობენ...**

— იცით, რა მეფურად გულუხვი იყო? ადამიანი-საჩუქარი შეკარქვით. დღესაც მიკვირს, მეგობრების და სრულიად უცნობი ადამიანების ამდენი საჩუქრით გახარებას როგორ ახერხებდა... მადრიდში 31 წლის ჩამოვიდა და ცოტა ხანში „რეალის“ ფანები მის მზეს იფიცებდნენ, რაც მხოლოდ მისი საფეხბურთო ოსტატობის დამსახურება არ გახლდათ. მინდა, მის მეუღლეს, ქალიშვილს, შვილიშვილს და შვილთაშვილს გულწრფელი სამძიმარი ვუთხრა. მათთან ოჯახში ახლა მხოლოდ ქალები დარჩნენ, ჯერჯერობით პატარა „პუშკიტა“ არსად ჩანს...

ორი დიდი: ალფრედო დი სტეფანო და ფერენც პუშკაში

# ოთხი სახლის განმავლობაში...
## საქეიფოდ წასული უქეიფოდ მყოფი



**დევიდ ბექემი** „რეალის“ კრიზისზე საუბრობს და აცხადებს, რომ ასეთი მძიმე დროება ცხოვრებაში არ ჰქონია, თუმცა იმავდროულად დარწმუნებულია, რომ ყველაფერს მოევლება.

მართლაც, ბექემს ცუდი დრო უდგას. ხუმრობა ხომ არ არის, ამხელა ვარსკვლავი თითქმის მთელი სეზონია, სათადარიგოთა სკამზე ზის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯდომაც არის და ჯდომაც — ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი აცხადებს, რომ „რეალის“ ახალი მწვრთნელის ფაბიო კაპელოს ხელში ის თავს დაჩაგრულად არ გრძნობს და მეტიც, იანვარში მადრიდიდან წასვლა გუნებაში ერთხელაც არ გაუვლია.

„მადრიდელთა ძირითადში ხშირად ნამდვილად ვერ ვხვდები, მაგრამ უნდა დავძინო, რომ ეს იოლი საქმე არც არის. მწვრთნელმა ჩემი ამბავი იცის: ასეთი მდგომარეობა არ მაკმაყოფილებს და მიმაჩნია, რომ ცხოვრების უმძიმესი პერიოდი მიდგას, თუმცა მის გადაწყვეტილებეს პატივს ვცემ და ვიმედოვნებ, რომ სიტუაცია ჩემ სასარგებლოდ შეიცვლება. ჩემი ამოცანა მარტივია, ბევრი ვიმუშავო და ბატონი კაპელოს ნდობა მოვიპოვო. მინდა, აუცილებლად განვმარტო, რომ ჩემი და მისი ურთიერთობა პროფესიულია, მასში პირადული არაფერი ურევია. კაპელო ასეთივეა ყველა ფეხბურთელთან ურთიერთობაშიც, სტილით კი პირწმინდა იტალიელია. იგი შეყვარებულია თავის საქმეზე და ბევრს გვამუშავებს. სად მირჩევნია თამაში? ცენტრში თამაშიც მიყვარს და ფლანგზეც, მაგრამ მთავარი ფრთა და ცენტრი კი არ არის, მთავარი მოედანზე ყოფნაა. იმ პროცესების წარმატებისა, რომლებიც მადრიდში მიმდინარეობს, მწამს, თუმცა ეს ყველაფერი საქმესაც მირთულებს“.

შეგახსენებთ, რომ ბექემის ოთხწლიანი მადრიდული კონტრაქტის ვადა ამ სეზონის ბოლოს იწურება, ასე რომ, ახალი გუნდის გამონახვისთვის ყველაზე შესაფერისი დრო ახლაა. ინგლისელის შეძენა სურთ „ბლექბერნს“, „ბოლტონსა“ და „ჩარლტონს“ ინგლისიდან, „ინტერსა“ და „მილანს“ იტალიიდან და „ელ ეი გალაქსისა“ და „ნიუ იორკ რედ ბულზს“ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, თუმცა 31 წლის ვარსკვლავი ასე მსჯელობს:

„რაც „რეალში“ ვარ ანუ 2003 წლიდან გამოიცვალა ექვსი მწვრთნელი, სამი პრეზიდენტი და მეც ოთხი ახალი სახლი მოვიძიე საცხოვრებლად. ამ ყველაფერთან შეგუება იოლი არ იყო, მაგრამ ასეთია ცხოვრება. მოკლედ, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ იანვარში არსად წასვლას არ ვაპირებ, ჩემი მომავალი კი ჩემს წარმომადგენლებსა და კლუბის ხელმძღვანელების მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული. ერთი ვიცი, კლუბის პრეზიდენტმა თქვა, რომ ჩემი მადრიდში დატოვება სურს, ასე რომ, არსად ვჩქარობ“.

მაგრამ ამ სეზონში ბექემი მხოლოდ ოთხჯერ მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში.

ახლახან ბექემი ტომ კრუზის გახმაურებულ ქორწილში გახლდათ, საიდანაც იტალიაში ჩაფრინდა მუხლის სამკურნალოდ და თქვა, რომ ამ საქეიფოდ წასვლას არსად არანაირი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. მისი მეულლე ვიქტორია ქორწილში მეორე დღესაც დარჩა.

რატომ იკითხეს ჟურნალისტებმა წინააღმდეგობაზე? იმიტომ, რომ ფაბიო კაპელომ რამდენიმე დღით ადრე პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბექემმა ამ შაბათ-კვირას აქ უნდა იმუშავოსო, ხოლო როდესაც ჰკითხეს, ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ იგი დევიდს ქორწილში არ უშვებდა, იტალიელმა უპასუხა: „ეს ჩემი საქმე არაა“.

ბექემი განაგრძობს: „მადრიდში დასახლება და გარემოსთან შეგუება იოლი საქმე არ არის. აქ ცხოვრებას საგანგებოდ აგრესიული პაპარაცები ამძიმებენ, მე კი ძალიან მინდა, შვილები ამ ყველაფერს მოვარიდო“.

შემდეგ ბექემმა თქვა, რომ მას ინგლისის ნაკრებში დაბრუნება ენატრება:

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება ინგლისის ნაკრების მაისურის ჩაცმა, თუმცა ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ კაპიტნობა მინდა. ჯონ ტერი ჩინებულად ართმევს საქმეს თავს. საკუთარი სამშობლოსთვის თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და არ მინდა, ეს სიამოვნება დავკარგო“.

**პაპუნა კედია**

# დაუმს თხები დაუმტკიცეს
## ამ კაცს კოკა არ უტყდება

**2000 წლის** ოქტომბერში კოკაინის ყნოსვაში მხილებული კრისტოფ დაუმი „კიოლნის“ მწვრთნელი გახდა და კლუბთან კონტრაქტი 2010-ის ივნისამდე გააფორმა. „თხების“ სპორტულმა დირექტორმა მიხაელ მაიერმა ორი კვირის განმავლობაში ორჯერ მიაკითხა დაუმს, მაგრამ ორჯერვე უარი მიიღო, მესამე ცდაზე კი დაითანხმა. დაუმი უარობდა, რადგან ახლახან ყელზე ოპერაცია გაიკეთა და ჯანს უჩიოდა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლო მაიერის დაჟინებულ თხოვნას...

სიდიდით მეოთხე გერმანულ ქალაქში კრისტოფ დაუმს აგარაკი აქვს და იქ ცხოვრობს. ქალაქის მერმაც კი სთხოვა მას გუნდის მწვრთნელობა მას შემდეგ, რაც შეიტყო, მაიერი უარით გაისტუმრაო, ხოლო გამოკითხვაში, რომელიც ინტერნეტის საშუალებით მოეწყო, 17 ათასმა ფანმა კრისტოფ დაუმის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. მიხაელ მაიერის განცხადებით, ახალ მწვრთნელს ცუდადაც რომ წაუვიდეს საქმეები, 2010 წლის ივნისამდე არ გაათავისუფლებენ, თუ თავად არ ითხოვა წასვლა.

გერმანული მედიის ცნობით, დაუმი წელიწადში 2 მილიონ 500 ათას ევროს მიიღებს. იგი ჯერჯერობით ვერ ჩაიბარებს გუნდს, რადგან ნაპერაციევი ყელის მოშუშებას კიდევ ორი კვირა სჭირდება. 2 დეკემბერს კი, როცა „კიოლნი“ „დუისბურგს“ უმასპინძლებს, კრისტოფ დაუმი უკვე კუთვნილ სამწვრთნელო სკამზე იჯდება.

დაუმი ფეხბურთელობისას „კიოლნის“ მოყვარულთა გუნდში (1975-81) თამაშობდა, შემდეგ კი (1981-85) ამავე კლუბის ახალგაზრდულ გუნდს თავკაცობდა. 1985-86 წლებში მთავარი გუნდის მწვრთნელის თანაშემწე იყო, ხოლო 1986-90-ში მთავარი მწვრთნელი.

„კიოლნიდან“ „შტუტგარტში“ გადაბარგდა, სადაც სამი სეზონი გაატარა და 1992 წელს ბუნდესლიგა მოიგო. შემდეგ თურქეთს მიაშურა და სტამბოლის „ბეშიქთაში“ ჩაიბარა, რომელსაც ქვეყნის თასი (1994) და ჩემპიონატი (1995) მოაგებინა. 1996 წელს სამშობლოში დაბრუნდა და „ლევერკუზენის“ თავკაცი გახდა. 1997, 1999 და 2000 წლებში ბუნდესლიგაში მეორე ადგილი დაიკავა და აქედან ორჯერ ძალიან ახლოს იყო ჩემპიონობასთან.

2000 წლის ოქტომბერში კი კოკაინის ყნოსვაში ამხილეს. არადა, 2001-ის ივნისში გერმანიის ნაკრები უნდა ჩაებარებინა, რომელსაც დროებით რუდი ფიოლერი თავკაცობდა. ასე და ამგვარად, კრისტოფ დაუმს უკან დარჩა „ლევერკუზენიც“ და ეროვნული ნაკრებიც, კობლენცის პროკურატურამ კი მასზე საქმე აღძრა. ამასობაში დაუმი ამერიკაში, ფლორიდაში წავიდა და 82 დღით მოსწყდა სამშობლოს. დაბრუნებისთანავე, 2001 წლის 12 იანვარს, პრესკონფერენცია გამართა და აღიარა, რომ კოკაინს ეტანებოდა. მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, მაგრამ საქმის გამოძიება გაგრძელდა და დაუმის ადვოკატმა იმდენი მოახერხა, რომ მისი კლიენტი მხოლოდ 10 ათასი ევროთი დააჯარიმეს. ეს უკვე 2002 წლის 6 მაისს მოხდა. ამ დროისთვის დაუმი „ბეშიქთაშს“ წვრთნიდა და ერთი სეზონი გაატარა თურქულ კლუბში, რომელსაც ვერაფერი მოაგებინა. თურქეთიდან ავსტრიაში გაემგზავრა და ვენის „აუსტრია“ ჩაიბარა, რომელიც ჩემპიონი გახადა და ქვეყნის თასიც მოაპოვებინა. 2003-ში გულმა კვლავ თურქეთისკენ გაუწია და „ფენერბაჰჩეს“ თავკაცი გახდა. „ფენერმა“ მის ხელში ორჯერ (2004, 2005) ჩემპიონატი მოიგო, ხოლო წლეულს მეორე ადგილზე გავიდა, რის შემდეგაც კრისტოფ დაუმი გაათავისუფლეს და მის ნაცვლად ხიკო დანიშნეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვინ გასცემს ანრის პასუხს?

**პრველი** დღე არაა, რაც იტალიურ და ესპანურ პრესაში დაჟინებით წერენ, რომ 2006 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს იტალიელი მცველი ფაბიო კანავარო მოიგებს. მოგეხსენებათ, გამოკითხვას ფრანგული „ფრანს ფუტბოლი“ აწარმოებს, თუმცა, ყოველ წელიწადს მეორდება ერთი და იგივე — ლაურეატის დასახელებამდე ერთი ხნით ადრე რომელიმე პატივცემულ ევროპულ გაზეთში ან გაზეთებში ქვეყნდება არაოფიციალური ცნობა იმის შესახებ თუ ვინ გაიმარჯვა და შემდეგ „ფრანს ფუტბოლის“ ოფიციალურ ცერემონიალზე ეს ცნობა დასტურდება. მოდი, ახლა ნუ ვიმსჯელებთ იმაზე თუ რატომ ხდება ასე, ფრანგულ ჟურნალში ვინმე ჯაშუში მუშაობს თუ ეს ყველაფერი ინტრიგის გასაძლიერებლად მოგონილი თამაშია, მაგრამ ვფიქრობთ, რაკიღა ითქვა, რომ გაიმარჯვა კანავარომ, ესე იგი ასეცაა.

„ვერ გამიგია, რატომ ვერ მოიგო ტიერი ანრიმ? — კითხულობს „არსენალის“ ანუ ტიერი ანრის მწვრთნელი არსენ ვენგერი, რომელსაც, როგორც ჩანს ასევე არ ეპარება ეჭვი, რომ რაკი გაზეთებში კანავარო ახსენეს, ესე იგი საუკეთესო მართლაც კანავარო იქნება — ალბათ, ის ხალხი, ვინც გამოკითხვაში იღებს მონაწილეობას არ აანალიზებს რა გააკეთა ამა თუ იმ ფეხბურთელმა დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდში. მათ მსოფლიოს ჩემპიონატი ნახეს, მოეწონათ კანავარო და ეს საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ ხმა კანავაროსთვის მიეცათ. კანავაროს რასაკვირველია ვულოცავ, მაგრამ პირადად ჩემთვის საუკეთესო ანრია და მეტი არავინ. ამ წელიწადს ის ინგლისის საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთელი გახდა, გოლებით ევროპაში მხოლოდ ლუკა ტონიმ გაუსწრო, ითამაშა ჩემპიონთა ლიგისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალები, რომელთაგან ერთი პენალტებით წააგო, მეორე კი ბოლო ათ წუთში, თან მაშინ, როდესაც მისი გუნდი უმცირესობაში იყო. ნუთუ პენალტებით გამარჯვებამ შეიძლება ამხელა ცვლილება გამოიწვიოს? როდესაც „ფრანს ფუტბოლი“ გამოკითხვათა ლაურეატების სიას კითხულობ, ხედავ, რომ სხვადასხვა წლებში გაუმარჯვიათ ისეთ ფეხბურთელებს, რომელთაც ანრის წინაშე ძალიან ბევრ კითხვაზე აქვთ პასუხი გასაცემი“.

ვენგერის სიტყვებს ჩვენი მხრივ უკომენტაროდ დავტოვებთ, რადგან შესაძლოა ბევრმა ისინი არ გაიზიაროს და „არსენალის“ ფრანგ მწვრთნელს თანამემამულის გამხნევებაში ჩაუთვალოს, თუმცა აქვე შეგახსენებთ იმ ხუთეულს, რომელიც „სარბიელმა“ „ფრანს ფუტბოლის“ რედაქციას გაუგზავნა: ტიერი ანრი, ბუფონი, ეტოო, კანავარო, პირლო.

**პაპუნა კედია**

როჯერიო სენი ჩემპიონია

# სან პაულუს ოქროს წვიმა

## ბრაზილია

### სერია A. XXXVI ტური

კორინთიანსი — ფლუმინენსე 1:1; ფლამენგო — ფიგეირენსე 0:2; გრემიო — სანტა კრუზი 3:1; სან პაულუ — ატლ. პარანენსე 1:1; პარანა — ინტერნასიონალი 1:0; ბოტაფოგო — გოიასი 2:2; კრუზეირო — სანტოსი 1:1; ფუვენტუდე — პალმეირასი 3:2; სან კაეტანო — ვასკუ და გამა 0:1; ფორტალეზა — პონტე პრეტა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 36 | 21 | 11 | 4 | 64:32 | 74 |
| ინტერნასიონალი | 36 | 19 | 9 | 8 | 47:31 | 66 |
| გრემიო | 36 | 19 | 7 | 10 | 61:44 | 64 |
| სანტოსი | 36 | 17 | 9 | 10 | 54:34 | 60 |
| ვასკუ და გამა | 36 | 15 | 12 | 9 | 56:49 | 57 |
| პარანა | 36 | 17 | 5 | 14 | 54:49 | 56 |
| ფიგეირენსე | 36 | 14 | 11 | 11 | 48:43 | 53 |
| კრუზეირო | 36 | 13 | 11 | 12 | 49:42 | 50 |
| ბოტაფოგო | 36 | 13 | 11 | 12 | 51:47 | 50 |
| გოიასი | 36 | 13 | 10 | 13 | 56:48 | 49 |
| ფლამენგო | 36 | 14 | 7 | 15 | 40:44 | 49 |
| კორინთიანსი | 36 | 14 | 7 | 15 | 36:43 | 49 |
| ატლ.პარანენსე | 36 | 13 | 8 | 15 | 59:57 | 47 |
| ფუვენტუდე | 36 | 13 | 7 | 16 | 39:47 | 46 |
| პალმეირასი | 36 | 12 | 7 | 17 | 56:65 | 43 |
| ფლუმინენსე | 36 | 10 | 11 | 15 | 45:56 | 41 |
| პონტე პრეტა | 36 | 10 | 8 | 18 | 44:61 | 38 |
| სან კაეტანო | 36 | 9 | 9 | 18 | 36:47 | 36 |
| ფორტალეზა | 36 | 7 | 13 | 16 | 36:60 | 34 |
| სანტა კრუზი | 36 | 7 | 7 | 22 | 39:71 | 28 |

**ჩემპიონატის** დასრულებამდე ორი ტურით ადრე ბრაზილიური „ოქრო“ „სან პაულომ“ მოიგო და მეოთხედ დაეუფლა ჯილდოს, რითაც „პალმეირასს“, „კორინთიანსს“ და „ფლამენგოს“ გაუტოლდა.

„სან პაულუ“ „ატლეტიკო პარანენსეს“ მასპინძლობდა და მცველმა ფაბიომ დამხვდურები დაწინაურა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე 11 წუთით ადრე სტუმარმა კრისტიანმა 25 მეტრიდან გაათანაბრა. ამ გოლის შემდეგ ატლეტიკელებს კიდევ ჰქონდათ კარგი მომენტი, თუმც მასპინძელთა მეკარე როჯერიო სენიმ იყო ჩაღა. ამ მატჩის პარალელურად, „სან პაულუს“ მდევარი „ინტერნასიონალი“ „პარანას“ ეთამაშებოდა და რომ მოეგო, საჩემპიონო ბრძოლა კიდევ ერთი კვირით გაიწელებოდა, მაგრამ „პარანამ“ „ინტერს“ სძლია და „სან პაულუს“ გაჩემპიონებაში დაეხმარა. აღსანიშნავია, რომ „პარანა“ „ინტერნასიონალის“ შეხვედრა 15 წუთით შეწყდა წვიმის გამო და, ცხადია, თხუთმეტი წუთით გვიან დამთავრდა, ვიდრე „სან პაულუ“ — „ატლეტიკო პარანენსე“. ამიტომ „სან პაულუს“ ფეხბურთელები და ქომაგები სტადიონიდან არ წასულან და „პარანა“ — „ინტერის“ თამაშის შედეგს ელოდნენ.

„სან პაულუს“ მწვრთნელია მურისი რამალიო, რომელიც შარშან „ინტერნასიონალს“ თავკაცობდა. მის ხელში „ინტერმა“ ლიბერტადორესის თასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო, ჩემპიონატში კი მეორე ადგილზე გავიდა.

ცხრილის ქვედა სართულებზე ელიტაში დასარჩენად ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, რომ „პონტე პრეტასა“ და „ფორტალეზას“ მატჩში მასპინძელი ფეხბურთელების დაშოშმინებას პოლიცია დასჭირდა. მასპინძლები კი მსაჯის გადაწყვეტილებამ გაახელა, რადგან მათი აზრით არბიტრმა „ფორტალეზას“ არჩასთვლელი გოლი ჩაუთვალა.

**ირაკლი ნინიძე**

# საზამთრო ელმანდერი

**შვედური** „ექსპრესენის“ ცნობით, კატალონიური „ბარსელონა“ ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე „ტულუზის“ თავდამსხმელ იოჰან ელმანდერის ყიდვას აპირებს. „ბარსას“ სელექციონერები ფეხბურთელს აკვირდებიან და 11 ნოემბერს „სედანი“ — „ტულუზის“ მატჩსაც ამის გამო დასწრებიან. „რა გითხრათ, „ბარსელონა“ უნიკალური კლუბია, მაგრამ მე თავს „ტულუზშიც“ კარგად ვგრძნობ, ოფიციალურად სატრანსფერო შემოთავაზებებით ჩემთვის არვის მოუმართავს და ამჟამინდელი კლუბიდანაც წასვლას არ ვაპირებ“ — უთქვამს ელმანდერს „ექსპრესენის“ ჟურნალისტისთვის. კონტრაქტით შვედმა ფრანგულ გუნდში კიდევ სამი სეზონი უნდა ითამაშოს.

25 წლის ელმანდერმა მიქაელ ლაუდროპის ხელმძღვანელობით წარმატებას პირველად დანიურ „ბრონდბიუში“ მიაღწია, ხოლო „ტულუზში“ 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. ესპანური გაზეთები შვედს ზაფხულში „ბეტისში“ გადასვლასაც უწინასწარმეტყველებდნენ.

მასიურმა, თუმცა ამავდროულად მოქნილმა ფორვარდმა ელმანდერმა, შვედეთის ნაკრებიდან ლარსონის წასვლით და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ზლატან იბრაჰიმოვიჩის კონფლიქტით ისარგებლა და ეროვნულ გუნდში ადგილი დაიმკვიდრა. ტულუზელი დღეს შვედთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია.

**ლადო ხომერიკი**

# ბუფონმა ალბინოლეფე რაფაელეს დაუტოვა

**ტურინის** „იუვენტუსმა“ ამ სეზონში მესამე ფრე ითამაშა და სერია B-ს ლიდერობა დროებით გადადო. „ბებერმა ქალბატონმა“ „ალბინოლეფესთან“ სტუმრად ჩატარებულ მატჩში აიღო ქულა, მაგრამ გუნდის მთავარ მწვრთნელ დიდიე დეშანს მიაჩნია, რომ ეს კარგი შედეგი იყო. „იუვეს“ ტრავმების გამო 5-6 წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის ალესანდრო დელ პიერო და დავიდ ტრეზეგე.

„იუვენტუსი“ 24-ე წუთიდან ათი კაცით თამაშობდა, რადგან დაცვის ცენტრის შეცდომის მერე ჯანლუიჯი ბუფონმა მეტოქის ფორვარდი ფერარი წააქცია. მსაჯმა ბრიგიმ კი ტურინელთა მეკარეს წითელი ბარათი უჩვენა და თან პენალტი დანიშნა, რომელიც ჟოელსონმა ზუსტად დაარტყა. „ბიანკონერიმ“ მეორე ნახევრის დებიუტში გაათანაბრა, როცა ფედერიკო ბალძარეტის ჩინებულ კროსს რაფაელე პალადინოს ცარიელ კარში გატანილი გოლი მოჰყვა. ეს მისი პირველი გოლი გახლავთ „იუვენტუსის“ ძირითადი გუნდის რიგებში, ოფიციალურ შეხვედრაში. დარჩენილ დროში მომენტები ორივე კართან იყო. ათკაციანი ტურინელები უფრო აქტიურობდნენ, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა.

„ბიჭებმა კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით ახალგაზრდები მომეწონა. საკმაოდ ბევრი მომენტი შევქმენით და მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ მატჩის განვითარებასა და ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ფრე ჩვენთვის კარგი შედეგია. იმ ფეხბურთელებზე ლაპარაკი კი არ მინდა, რომლებიც გვაკლდნენ. რა გუნდიც გვყავდა, მისი თამაში შევაფასოთ“ — თქვა დეშანმა.

შეგახსენებთ, რომ პალადინომ ცოტა ხნის წინ თქვა, თუ მეტ სათამაშო დროს არ მომცემენ, იანვარში კლუბს გამოვიცვლიო. ძნელი სათქმელია, ამ განცხადებამ იმოქმედა თუ არა, მაგრამ ფაქტია, ბუფონის გაძევების შემდეგ დეშანმა ცოტა მოულოდნელად, ანტონიო მირანტე ვალერი ბოჟინოვის ნაცვლად შეიყვანა და პალადინო მინდორზე დატოვა, რამაც გაამართლა.

„პალადინო ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და როცა ბუფონი გაძევეს, გადავწყვიტე, მინდვრიდან ბოჟინოვი გამეყვანა და არა იგი, რადგან რაფაელეს ისეთი თვისებები აქვს, რომ ათი კაცით თამაშისას უფრო სასარგებლო იქნებოდა. მას ბურთის დაჭერა შეუძლია, რაც გუნდს დაცვიდან ამოსვლის საშუალებას აძლევს. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ პალადინო ჯერ ახალგაზრდაა და ბევრი უნდა ისწავლოს. ვფიქრობ, მას დიდი მომავალი აქვს“ — დასძინა დეშანმა.

„ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღე იყო. მიხარია, რომ მწვრთნელის ნდობა გავამართლე და გოლიც გავიტანე“ — აღნიშნა პალადინომ.

**გიორგი კაკაბაძე**

## პორტუგალია

### სუპერლიგა. X ტური

**ლეირია 0:0 ბოავიშტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 8 | 1 | 1 | 23:7 | 25 |
| სპორტინგი | 10 | 7 | 2 | 1 | 17:7 | 23 |
| ბრაგა | 10 | 5 | 2 | 3 | 13:12 | 17 |
| ლეირია | 10 | 5 | 2 | 3 | 10:11 | 17 |
| ბენფიკა | 9 | 5 | 1 | 3 | 19:12 | 16 |
| ნასიონალი | 10 | 5 | 1 | 4 | 17:10 | 16 |
| ნავალი | 10 | 4 | 4 | 2 | 10:8 | 16 |
| მარიტიმუ | 10 | 5 | 1 | 4 | 11:10 | 16 |
| ფერეირა | 10 | 3 | 4 | 3 | 11:14 | 13 |
| ბელენენსეში | 8 | 3 | 2 | 3 | 7:6 | 11 |
| ბოავიშტა | 10 | 3 | 2 | 5 | 11:14 | 11 |
| აკადემიკა | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| სეტუბალი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:13 | 9 |
| ბეირა მარი | 10 | 1 | 4 | 5 | 12:21 | 7 |
| ავეში | 10 | 1 | 2 | 7 | 8:17 | 5 |
| ამადორა | 9 | 1 | 1 | 7 | 3:15 | 4 |

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა. XIV ტური

იუვენტუსი — დელემონი 0:1; ვოლენი — ვადუცი 2:2; ივერდონი — ქსამაქსი 1:2; ბელინცონა — ვილი 1:0; კიასო — ბოლმი 1:1; კრინსი — ლოკარნო 4:0; შო დე ფონი — სერვეტი 1:2; ლუგანო — ლოზანა 4:1; ვინტერთური — კონკორდია 0:2

## ბულგარეთი

### უმაღლესი ლიგა. XIV ტური

ლევსკი — ლოკომოტივი (ს) 3:0; ლოკომოტივი (პ) — ლიტექსი 1:1; ბელასიცა — რილსკი 4:1; ჩერნო მორე — სპარტაკი 3:0; ჩერნომორეცი — ბეროე 0:3; მარეკი — სლავია 2:2; როდოპა — ცსკა 1:2; ვიჰრენი — ბოტევი 1:0

## სლოვენია

### I ლიგა. XIX ტური

კოპერი — ფაქტორი 1:1; მარიბორი — დრავა 1:1; დომჟალე — ბელა კრაინა 1:0; პუბლიკუმი — ნოვა გორიცა 1:3; პრიმორიე — ნაფტა 3:0

## არგენტინა

### აპერტურა. XVI ტური

არგ. ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 2:0; არსენალი — როსარიო 1:0; ველესი — გოდოი კრუზი 2:0; ლანუსი — ნუევა ჩიკაგო 1:0; ოლდ ბოისი — ესტუდიანტესი 1:2; კილმესი — ბანფილდი 1:2; კოლონი — ბელგრანო 2:0; რივერ პლეიტი — ხიმნასია (ლ) 2:0; ხიმნასია (ხ) — ბოკა ხუნიორსი 1:2. *რასინგი — სან ლორენსო გადაიდო*

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XXX ტური

ბრეი — სლიგო 1:1; დერი — კორკი 1:0; დროჰედა — უოტერფორდი 1:0; ლონგფორდი — სენტ პატრიკსი 0:0; შელბურნი — ბოჰემიანსი 2:1

## რუმინეთი

### A დივიზიონი

#### XVI ტური

ოცელული — გლორია 1:1; ნაციონალი — არჯეში 0:2; უნივერსიტატია — ფარული 1:0; კლუჟი — პოლიტეხნიკა 2:1; უნირია — დინამო 1:1; პანდურეი — სტიაუა 0:0; ტიმოშოარა — არადი 2:0; პეტროსანი — ვასლუი 1:3; ჩაპლაული — რაპიდი 0:3

## ხორვატია

### I დივიზიონი. XVI ტური

შიბენიკი — მედიმურეე 3:0; სლავენი — პულა 1:0; ვარტექსი — ზაგრები 1:3; დინამო — ციბალია 4:0; ოსიეკი — კამენი 2:1; ჰაიდუკი — რიეკა 3:0

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XV ტური

დინამო — არსენალი 5:2; მეტალურგი (ზ) — შახტარი 0:3; ზარია — სტალი 1:0; ჩერნომორეცი — კარპატი 1:0; კრივბასი — ხარკოვი 3:1; მეტალისტი — დნიპრო 1:0; მეტალურგი (დ) — ტავრია 1:2; ილიჩევეცი — ვორსკლა 2:0

## სერბეთი

### სუპერლიგა. XIV ტური

ბანატი — პარტიზანი 1:2; მლადოსტი — ჰაიდუკი 1:0; ოფკ — ბორაცი 0:0; ცრვენა ზვეზდა — ზემუნი 5:0; ვოივოდინა — ბეჟანია 1:0; ვოზდოვაცი — სარტიდი 3:0

## როიალ ლიგა

### A ჯგუფი. I ტური

ჰელსინგბორგი 3:1 რუსენბორგი

### B ჯგუფი. I ტური

ჰამარბი 1:1 ლილესტრიომი

### C ჯგუფი. I ტური

ვოლერენგა 2:1 ელფსბორგი

## ამხანაგური მატჩები

ტანზანია 1:1 ანგოლა

პანამა 1:2 პერუ

## ავსტრია

### პირველი დივიზიონი

#### XVII ტური

ადმირა — აუსტრია (ლფ) 0:2; აუსტრია (ვ) — ლინცერი 1:4; ლუსტენაუ — ჰარტბერგი 1:0; გრატკორნი — ლეობენი 0:0; კაპფენბერგი — კერნტენი 1:0; შვანენშტადტი — პარნდორფი 1:0

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. XIV ტური

ვაშაში — პაკში 0:1; ფეჰერვარი — უიპეშტი 3:2; ტატაბანია — რეკი 2:3; დებრეცენი — ზალაეგერსეგი 3:1; დიოშდიორი — ჰონვედი 2:1; კაპოშვარი — პეჩი 1:2; ვაცი — შოპრონი 1:2; მტკ — დიორი 1:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა

#### XXXI ტური

ომია — კაშიმა 0:3; ივატა — ტოკიო 4:1; კავაზაკი — ფუკუოკა 2:1; ნაგოია — ურავა 1:0; ჰიროშიმა — კიოტო 1:0; კოფუ — ოიტა 2:0; იოკოჰამა — შიმიცუ 2:3; ნიიგატა — სერეზო 2:2; გამბა — იჩიჰარა 1:0

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი

#### XVIII ტური

პალესტინო — უაჩიპატო 2:4; აუდაქს იტალიანო — კოკიმბო 2:0; ლა სერენა — უნივერსიდად კათოლიკა 2:3; უნიონ კონსეპსიონი — ევერტონი 5:1; კობრელოა — სან მორინგი 2:1; უონდერერსი — უნიონ ესპანიოლა 2:2; უნივერსიდად დე ჩილე — ანტოფაგასტა 1:0; რეინჯერსი — პუერტო მონტი 1:2. *კობრესალი — კოლო კოლო წუხელ გვიან დამთავრდა*

## მექსიკა

### აპერტურა. პლეი ოფი

#### 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

**გვადალახარა 4:0 ვერაკრუსი (2:1)**

**ტოლუკა 2:0 ხაგუარესი (0:1)**

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XXI ტური

ბანსკა ბისტრიცა — რუჟომბეროკი 0:0; ინტერი — კოშიცე 1:2; არტმედია — ნიტრა 1:0; ტრენჩინი — სენეცი 0:1; ტრნავა — სლოვანი 2:1; ჟილინა — დუბნიცა 2:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:45 | 1 | ჩარლტონი-ევერტონი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| 19:00 | 2 | ფულემი-რედინგი | 2.20 | 3.30 | 3.10 | 1.32 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 3 | ლივერპული-სიტი | 1.40 | 4.20 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.75 |
| 19:00 | 5 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 19:00 | 8 | ვესტ ჰემი-შეფილდი | 1.85 | 3.30 | 4.20 | 1.18 | 1.28 | 1.84 |
| 21:15 | 9 | ბოლტონი-არსენალი | 3.30 | 3.20 | 2.15 | 1.62 | 1.30 | 1.28 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 10 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 2.00 | 3.30 | 3.60 | 1.24 | 1.28 | 1.72 |
| 19:00 | 11 | ტოტენჰემი-უიგანი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| 20:00 | 12 | მანჩესტერი-ჩელსი | 2.50 | 3.20 | 2.70 | 1.40 | 1.29 | 1.46 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 69 | პარტიკი-კლაიდი | 1.70 | 3.60 | 4.00 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| 23:45 | 70 | როსი-სტ.ჯონსტონი | 2.80 | 3.40 | 2.15 | 1.53 | 1.21 | 1.31 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 86 | შალკე-ბოხუმი | 1.38 | 4.10 | 8.50 | 1.03 | 1.18 | 2.76 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 88 | ვერდერი-არმინია | 1.40 | 3.80 | 8.50 | 1.02 | 1.20 | 2.62 |
| 18:30 | 90 | აინტრახტი-დორტმუნდი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| 18:30 | 91 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.25 | 3.10 | 3.20 | 1.30 | 1.32 | 1.57 |
| 18:30 | 92 | ჰამბურგი-ბაიერნი | 4.00 | 3.10 | 1.95 | 1.74 | 1.31 | 1.19 |
| 18:30 | 94 | ჰანოვერი-მაინცი | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 18:30 | 95 | ჰერტა-ალემანია | 1.50 | 3.40 | 7.80 | 1.04 | 1.25 | 2.36 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 96 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| 21:00 | 97 | შტუტგარტი-გლადბახი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 197 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.42 | 4.10 | 7.00 | 1.05 | 1.18 | 2.58 |
| 23:00 | 198 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 200 | ბეტისი-ესპანიოლი | 2.10 | 3.10 | 3.40 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| 20:00 | 201 | სელტა-სარაგოსა | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| 20:00 | 202 | ტარაგონა-მალიორკა | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |
| 20:00 | 203 | რასინგი-უელვა | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 23:45 | 204 | ბილბაო-სევილია | 3.30 | 3.10 | 2.10 | 1.59 | 1.28 | 1.25 |
| 20:00 | 206 | ხეტაფე-ლევანტე | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 20:00 | 207 | ოსასუნა-დეპორტივო | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| 22:00 | 208 | ვალენსია-რეალი | 2.90 | 2.90 | 2.45 | 1.45 | 1.32 | 1.32 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 361 | რეალი-ლიონი | 2.00 | 3.10 | 3.70 | 1.21 | 1.29 | 1.68 |
| 23:45 | 362 | სტიაუა-დინამო კ | 1.75 | 3.50 | 4.30 | 1.16 | 1.24 | 1.92 |
| 23:45 | 363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 23:45 | 364 | სელტიკი-მანჩესტერი | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| 23:45 | 365 | არსენალი-ჰამბურგი | 1.25 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.53 |
| 21:30 | 366 | ცსკა-პორტუ | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 23:45 | 367 | აეკ-მილანი | 5.10 | 3.40 | 1.65 | 2.03 | 1.24 | 1.11 |
| 23:45 | 368 | ლილი-ანდერლეხტი | 1.50 | 3.70 | 6.80 | 1.06 | 1.22 | 2.39 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 369 | ვერდერი-ჩელსი | 2.50 | 3.00 | 2.80 | 1.36 | 1.32 | 1.44 |
| 23:45 | 370 | ლევსკი-ბარსელონა | 16.00 | 6.00 | 1.15 | 4.36 | 1.07 | 1.00 |
| 23:45 | 371 | ინტერი-სპორტინგი | 1.35 | 4.40 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.89 |
| 21:30 | 372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 4.00 | 3.00 | 1.95 | 1.71 | 1.31 | 1.18 |
| 23:45 | 373 | ბორდო-გალათასარაი | 1.95 | 3.20 | 4.00 | 1.21 | 1.31 | 1.77 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 374 | ლივერპული-პსვ | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 23:45 | 375 | შახტარი-რომა | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 23:45 | 376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 377 | პსჟ-აპოელი თა | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 22:15 | 378 | რაპიდი(ბ)-ბოლესლავი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:00 | 379 | ფენერბაჰჩე-პალერმო | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 380 | ნიუკასლი-სელტა | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:30 | 381 | ოსერი-რეინჯერსი | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 22:45 | 382 | მაკაბი ჰ-პარტიზანი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 23:30 | 383 | ლევერკუზენი-ტოტენჰემი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 23:30 | 384 | ბრიუგე-დინამო(ბქ) | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 23:45 | 385 | სევილია-ბრაგა | 1.38 | 4.00 | 7.00 | 1.02 | 1.15 | 2.54 |
| 21:15 | 386 | ლიბერეცი-გრასჰოპერი | 1.90 | 3.10 | 3.70 | 1.17 | 1.25 | 1.68 |
| 23:45 | 387 | პარმა-ჰერენვენი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 388 | ოდენსე-ლანსი | 2.80 | 2.90 | 2.50 | 1.42 | 1.32 | 1.34 |
| 23:45 | 389 | ფეიენოორდი-ბლექბერნი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 23:15 | 390 | ბაზელი-ნანსი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 391 | ესპანიოლი-ვარეგემი | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 21:30 | 392 | სპარტა-აიაქსი | 3.10 | 3.00 | 2.20 | 1.52 | 1.28 | 1.26 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 405 | კერნტენი-შვანენშტადტი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:00 | 406 | აუსტრია-პაშინგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 407 | გრაცერი-ზალცბურგი | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 554 | მოდო-ფრიოლუნდა | 1.80 | 4.40 | 2.80 | 1.27 | 1.09 | 1.71 |
| 22:00 | 555 | აიკ-მორა | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| 22:00 | 556 | ლინჩიოპინგი-ჰვ 71 | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 572 | კალპა-ტურკუ | 2.50 | 4.10 | 1.90 | 1.55 | 1.07 | 1.29 |
| 20:30 | 573 | სეიპა-ესეტი | 1.60 | 4.40 | 3.30 | 1.17 | 1.07 | 1.88 |
| 20:30 | 574 | ლუკო-ილვესი | 1.75 | 4.30 | 2.70 | 1.24 | 1.06 | 1.65 |
| 20:30 | 575 | ესპოო-ჰაამეენლინა | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 20:30 | 576 | პელიკანსი-იუვესკიულე | 1.80 | 4.20 | 2.90 | 1.25 | 1.11 | 1.71 |
| 20:30 | 577 | ტაპარა-იოკერიტი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 20:30 | 578 | ჰელსინკი-კერპეტი | 2.30 | 4.20 | 2.10 | 1.48 | 1.09 | 1.39 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 594 | ტრჟინეცი-კარლოვი ვარი | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 20:00 | 595 | ვსეტინი-პლზენი | 2.40 | 4.20 | 2.00 | 1.52 | 1.09 | 1.35 |
| 20:30 | 596 | ზნოიმო-პარდუბიცე | 2.30 | 4.20 | 2.10 | 1.48 | 1.09 | 1.39 |
| 20:30 | 597 | ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 1.70 | 4.40 | 3.00 | 1.22 | 1.08 | 1.78 |
| 20:30 | 598 | ბუდეიოვიცე-ზლინი | 1.80 | 4.30 | 2.80 | 1.26 | 1.09 | 1.69 |
| 21:30 | 599 | ლიბერეცი-სპარტა | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:00 | 600 | სლავია-კლადნო | 1.60 | 4.40 | 3.30 | 1.17 | 1.07 | 1.88 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 615 | პოპრადი-ზვოლენი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 20:00 | 616 | მიკულაში-მარტინი | 2.20 | 4.20 | 2.10 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 20:30 | 617 | კოშიცე-სკალიცა | 1.35 | 4.60 | 5.00 | 1.04 | 1.06 | 2.39 |
| 20:30 | 618 | ჟილინა-ნიტრა | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| 21:00 | 619 | სლოვანი-ტრენჩინი | 1.60 | 4.40 | 3.30 | 1.17 | 1.07 | 1.88 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 22:45 | 642 | ბაზელი-ლუგანო | 2.25 | 4.10 | 2.10 | 1.45 | 1.08 | 1.38 |
| 22:45 | 643 | სერვეტი-ცუგი | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 22:45 | 644 | კლოტენი-ბერნი | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 22:45 | 645 | ლანგნაუ-ციურიხი | 2.20 | 4.00 | 2,05 | 1.41 | 1.06 | 1.35 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 656 | ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 20:00 | 657 | ცსკა-აკ ბარსი | 2.40 | 4.20 | 2.00 | 1.52 | 1.09 | 1.35 |
| 17:00 | 658 | მაგნიტოგორსკი-ავანგარდი | 1.50 | 4.50 | 2.80 | 1.12 | 1.00 | 1.72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 659 | ლადა-ლოკომოტივი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 20:00 | 660 | აკ-სევერსტალი | 1.50 | 4.50 | 2.80 | 1.12 | [illegible] | [illegible] |
| 17:00 | 661 | ტრაქტორი-ხიმიკი | 2.90 | 4.20 | 1.60 | 1.71 | 1.03 | 1.15 |
| | | ინგლისი. FA Cup | | | | | | |
| | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 394 | სკანთორპი-ჩელტენემი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 23:45 | 395 | ალდერშოტი-ჩელმსფორდი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 23:45 | 396 | ბერი-ვეიმუთი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 23:45 | 397 | გრიმსბი-ნორთჰემპტონი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 398 | ჰერეფორდი-შრიუსბერი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 399 | მეიდენჰედი-სტეფორდ რ | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 400 | დონსი-ფარსლი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10361 | რეალი-ლიონი | 2.50 | 2.10 | 4.20 | 1.14 | 1.56 | 1.39 |
| 10362 | სტიაუა-დინამო კ | 2.15 | 2.20 | 4.70 | 1.08 | 1.47 | 1.49 |
| 10363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.95 | 2.30 | 6.00 | 1.05 | 1.47 | 1.66 |
| 10364 | სელტიკი-მანჩესტერი | 4.50 | 2.10 | 2.30 | 1.43 | 1.52 | 1.09 |
| 10365 | არსენალი-ჰამბურგი | 1.45 | 3.00 | 9.00 | 1.00 | 1.24 | 2.25 |
| 10366 | ცსკა-პორტუ | 2.45 | 2.10 | 4.30 | 1.13 | 1.56 | 1.41 |
| 10367 | აეკ-მილანი | 5.50 | 2.20 | 2.10 | 1.57 | 1.51 | 1.07 |
| 10368 | ლილი-ანდერლეხტი | 1.90 | 2.40 | 5.50 | 1.06 | 1.41 | 1.67 |
| 10369 | ვერდერი-ჩელსი | 2.90 | 2.10 | 3.30 | 1.21 | 1.54 | 1.28 |
| 10371 | ინტერი-სპორტინგი | 1.80 | 2.40 | 6.50 | 1.02 | 1.40 | 1.75 |
| 10372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 4.50 | 2.10 | 2.35 | 1.43 | 1.54 | 1.10 |
| 10373 | ბორდო-გალათასარაი | 2.40 | 2.10 | 4.40 | 1.12 | 1.55 | 1.42 |
| 10374 | ლივერპული-პსვ | 2.15 | 2.10 | 5.50 | 1.06 | 1.54 | 1.51 |
| 10375 | შახტარი-რომა | 3.85 | 2.00 | 2.55 | 1.31 | 1.53 | 1.12 |
| 10376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11361 | რეალი-ლიონი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11362 | სტიაუა-დინამო კ | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 2.05 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11364 | სელტიკი-მანჩესტერი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.65 |
| 11365 | არსენალი-ჰამბურგი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11366 | ცსკა-პორტუ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11367 | აეკ-მილანი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11368 | ლილი-ანდერლეხტი | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11369 | ვერდერი-ჩელსი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11371 | ინტერი-სპორტინგი | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.70 |
| 11373 | ბორდო-გალათასარაი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11374 | ლივერპული-პსვ | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11375 | შახტარი-რომა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
### (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12361 | რეალი-ლიონი | 1.60 | 2.00 |
| 12362 | სტიაუა-დინამო კ | 1.70 | 1.90 |
| 12363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.60 | 2.00 |
| 12364 | სელტიკი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12365 | არსენალი-ჰამბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12366 | ცსკა-პორტუ | 1.55 | 2.20 |
| 12367 | აეკ-მილანი | 1.55 | 2.20 |
| 12368 | ლილი-ანდერლეხტი | 1.55 | 2.20 |
| 12369 | ვერდერი-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12370 | ლევსკი-ბარსელონა | 2.40 | 1.45 |
| 12371 | ინტერი-სპორტინგი | 1.70 | 1.90 |
| 12372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 1.60 | 2.00 |
| 12373 | ბორდო-გალათასარაი | 1.55 | 2.10 |
| 12374 | ლივერპული-პსვ | 1.55 | 2.10 |
| 12375 | შახტარი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13361 | რეალი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13362 | სტიაუა-დინამო კ | 1.70 | 1.90 |
| 13363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.90 | 1.70 |
| 13364 | სელტიკი-მანჩესტერი | 1.90 | 1.70 |
| 13365 | არსენალი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 13366 | ცსკა-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 13367 | აეკ-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13368 | ლილი-ანდერლეხტი | 1.90 | 1.70 |
| 13369 | ვერდერი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13370 | ლევსკი-ბარსელონა | 2.10 | 1.40 |
| 13371 | ინტერი-სპორტინგი | 1.90 | 1.70 |
| 13372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13373 | ბორდო-გალათასარაი | 1.70 | 1.90 |
| 13374 | ლივერპული-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 13375 | შახტარი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14361 | რეალი-ლიონი | 1.70 | 2.20 |
| 14362 | სტიაუა-დინამო კ | 1.45 | 2.40 |
| 14363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.30 | 2.50 |
| 14364 | სელტიკი-მანჩესტერი | 2.20 | 1.70 |
| 14365 | არსენალი-ჰამბურგი | 1.05 | 2.90 |
| 14366 | ცსკა-პორტუ | 1.70 | 2.20 |
| 14367 | აეკ-მილანი | 2.40 | 1.45 |
| 14368 | ლილი-ანდერლეხტი | 1.30 | 2.50 |
| 14369 | ვერდერი-ჩელსი | 1.90 | 1.90 |
| 14371 | ინტერი-სპორტინგი | 1.18 | 2.60 |
| 14372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 2.20 | 1.70 |
| 14373 | ბორდო-გალათასარაი | 1.65 | 2.20 |
| 14374 | ლივერპული-პსვ | 1.30 | 2.50 |
| 14375 | შახტარი-რომა | 2.20 | 1.70 |
| 14376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.05 | 2.90 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15361 | რეალი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15362 | სტიაუა-დინამო კ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15364 | სელტიკი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15365 | არსენალი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15366 | ცსკა-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15367 | აეკ-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15368 | ლილი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15369 | ვერდერი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15370 | ლევსკი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15371 | ინტერი-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15373 | ბორდო-გალათასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15374 | ლივერპული-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15375 | შახტარი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16361 | რეალი-ლიონი | 1.40 | 2.50 |
| 16362 | სტიაუა-დინამო კ | 1.25 | 3.10 |
| 16363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.12 | 5.00 |
| 16364 | სელტიკი-მანჩესტერი | 2.70 | 1.35 |
| 16366 | ცსკა-პორტუ | 1.40 | 2.60 |
| 16367 | აეკ-მილანი | 3.50 | 1.20 |
| 16368 | ლილი-ანდერლეხტი | 1.15 | 4.30 |
| 16369 | ვერდერი-ჩელსი | 1.65 | 1.90 |
| 16371 | ინტერი-სპორტინგი | 1.05 | 6.00 |
| 16372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 2.60 | 1.40 |
| 16373 | ბორდო-გალათასარაი | 1.40 | 2.60 |
| 16374 | ლივერპული-პსვ | 1.17 | 3.50 |
| 16375 | შახტარი-რომა | 2.20 | 1.50 |
| 16376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.05 | 6.50 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
### (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17361 | რეალი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17362 | სტიაუა-დინამო კ | 1.85 | 1.95 |
| 17363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17364 | სელტიკი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17365 | არსენალი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17366 | ცსკა-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17367 | აეკ-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17368 | ლილი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17369 | ვერდერი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17370 | ლევსკი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17371 | ინტერი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17373 | ბორდო-გალათასარაი | 1.85 | 1.95 |
| 17374 | ლივერპული-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17375 | შახტარი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1.95 |

## ქართული ლეგიონი

# სლოვენია კარგი ტრამპლინია

გიორგი ცინცაძე

**ბევრი** საინტერესო მოხდა გასულ კვირაში: თუნდაც მანუჩარ მარკოიშვილის ოლიმპიური რეკორდი რად ღირს, რომ აღარაფერი ვთქვათ ფრანგულ-ესპანურ „ქართულ დერბიზე", ანაც ვლადიმერ ბოისას ოქროს სამქულიანზე... თუმცა რატომაც არ უნდა ვთქვათ — ჰოდა, მივყვეთ...

იყო დრო, ლიუბლიანურ „ოლიმპიაში" ვლადიმერ ბოისა ქუხდა. თავის დროზე ვოვა რიგით ჯარისკაცად იყო სლოვენურ გრანდში მისული და საკუთარი ნიჭიერებისა და მონდომების ხარჯზე „ოლიმპიაში" გენერლობას მიაღწია. 25-30 ქულის მოხვეჭა ბოისასთვის პოპკორნის ჭამასავით გახდა და ის გაცილებით ძლიერმა იტალიურმა „სიენამ" მიიწვია. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგივე გზაზე შემდგარა მანუჩარ მარკოიშვილი, ვისთვისაც რამდენიმე წლის წინ „ოლიმპიაში" თამაში ალბათ ოცნება იყო. დღეს მანუ ლიუბლიანური კლუბის ხუთეულის უცვლელი წევრია და ადრიატიკის ლიგის გასულ ტურში მოედანზე მთელი 40 წუთი გაატარა. ჰოდა, თავისიანთაგან ბომბარდირიც გახდა და პირადსარეკორდო 27 ქულაც გამოჭედა.

მანუჩარი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მალაგაშიც, სადაც „ოლიმპია" ევროლიგის მატჩში „უნიკახას" შეხვდა და 55:62 დამარცხდა. მარკოიშვილმა ლამის 20 ქულით ჩამორჩენილი ლიუბლიანელები მესამე მეოთხედში 10 ქულით მიაახლოვა მასპინძლებს, მაგრამ...

მარკოიშვილის ოლიმპიელი წინამორბედი ბოისა „სიენაში" ისე ვერ ლიდერობს, როგორც სლოვენიაში, მაგრამ თავის საკეთებელს მაინც აკეთებს. ულებ-ის თასზე ვოვა რომ ყოჩაღობს, ეს ძველი ამბავია, გასულ ტურში კი ბოისამ საგმირო საქმე ჰქმნა. „სიენა" მოსკოვში „ხიმკის" სტუმრობდა და ბოლო წამებზე განწირულიც იყო, მაგრამ ვოვამ სირენის თანხლებით ჯადოსამქულიანი ჩააგდო და ოვერტაიმში გადაყვანილი თამაში სიენელებმა მოიგეს.

ბოისამ მოიკოჭლა სერია A-ს გუშინწინდელ მატჩში, თუმცა ამაში მისი მწვრთნელია დამნაშავე, რადგან ჩვენიანი მხოლოდ 7 წუთი ათამაშა „კანტუსთან". მიუხედავად ასე მცირე დროისა, ვოვამ 5 ქულა მაინც გაახერხა, მისმა „სიენამ" კი მნიშვნელოვანი მატჩში მოიგო სტუმრად და სერიას A-ს ლიდერობს.

„ქართულ დერბიზე" გასულ კვირაშიც ვწერდით, ახლა კი მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ „დიჟონთან" შეხვედრაში ჩაგდებული ქულები ვიქტორ სანიკიძისთვის საგებიუტო გამოდგა „ესტუდიანტესში". „დიჟონში" ვახტანგ ნაცვლიშვილმა უფრო მეტი მოიხვეჭა — 15 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ ფრანგული კლუბი მაინც დამარცხდა მადრიდში, თუმც ორივე გუნდი ევროთასის ჯგუფიდან გასვლის კარგ შანსს ინარჩუნებს.

სანიკიძეს ესპანეთის ჩემპიონატში არ უთამაშია და არც საფრანგეთში ნაცვლიშვილის 3-წუთიან ბურთაობას ეთქმის თამაში. გასულ ტურში მძლავრი „ვილერბანის" დამარცხების შემდეგ „დიჟონმა" საშუალო „ორლეანთან" ფიცხელ ბრძოლაში წააგო და ცხრილის შუაში გაიჩხირა.

გიორგი ცინცაძე ორ ტურნირში ხომ თამაშობდა და გასულ კვირას მესამეშიც ჩაება. მისი „როკი" „ჩენელჯ ქაპის" ჯგუფურ ეტაპზე რუსულ „სამარას" შეხვდა და შინ დასანანად დამარცხდა.

ყველა „როკერს" გულით უნდოდა გამარჯვება, მაგრამ ქართველ გამთამაშებელს ალბათ განსაკუთრებით. ცინცაძეს ცუდი მოგონებები აკავშირებს ამ რუსულ კლუბთან. შარშანწინ ის „სამარაში" თამაშობდა, უფრო სწორად, ირიცხებოდა, რადგან მწვრთნელი იგორ კომი არ სწყალობდა და საბოლოოდ ამ კორეული ფესვების მქონე სპეციალისტთან ცინცაძეს ჩხუბი მოუვიდა.

გიორგიმ სამარელების წინააღმდეგ 37 წუთი ითამაშა და მართალია, ბომბარდირული თვისებები ვერ გამოავლინა, სამაგიეროდ, 7 პასი გაჩარხა. მთლიანობაში კი ცინცაძეს არა უშავდა — 7 პასს 6 ქულა და 4 მოხსნაც მიაბა.

დაბოლოს, ზაზა ფაჩულიას ორმაგ დუბლზეც ვთქვათ, რომელიც მან ნბა-ს მოქმედ ჩემპიონ „მაიმ ჰითთან" გაახერხა. ფლორიდელებს არ ჰყავდათ შაკილ ონილი, მაგრამ არც მასზე ნაკლები გოლიათი უმაგრებდათ ფარს — ალონზო მურნინგს ფაჩულია თამამად ეპაექრა და თამაში ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთით ადრე პერსონალურთა ლიმიტის გამო დატოვა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | როკი | ბალტიის თასი | ვენტსპილსი | შ | 86:77 | 29 | 5 | 2 | 6 |
| | | ჩელენჯ კაპი | სამარა | შ | 78:89 | 37 | 6 | 4 | 7 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ევროლიგა | უნიკახა | ს | 55:62 | 31 | 9 | 6 | 2 |
| | | ადრიატიკის ლიგა | ცრვენა ზვეზდა | ს | 92:110 | 40 | 27 | 4 | 2 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | კანტუ | ს | 84:78 | 7 | 5 | 0 | 0 |
| | | ულების თასი | ხიმკი | ს | 104:102 | 31 | 12 | 3 | 2 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ევროთასი | ესტუდიანტესი | ს | 75:80 | 26 | 15 | 4 | 1 |
| | | საფრანგეთის ჩემპიონატი | ორლეანი | ს | 78:86 | 3 | 2 | 1 | 1 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ევროთასი | დიჟონი | შ | 80:75 | 10 | 5 | 3 | 0 |
| | | ესპანეთის ჩემპიონატი | მურსია | შ | 93:85 | არ უთამაშია | | | |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის ლიგა | კაუნო | შ | 81:67 | 7 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | ნბა. რეგ. ჩემპიონატი | მაიამი | შ | 88:93 | 26 | 12 | 11 | 1 |
| | | | მილუოკი | ს | 101:103 | 26 | 8 | 4 | 2 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

# ოლიმპიას უნიონი ვეღარ გააერთიანებს

## მარკოიშვილის გუნდი დაშლის პირასაა

**ცუდი** დროება უდგას ლიუბლიანის „ოლიმპიას", რომელშიც, მოგეხსენებათ, მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობს. დღეს უნდა გადაწყდეს, დაიშლება თუ არა სლოვენიის ეს ყველაზე ტიტულიანი გუნდი. „ოლიმპიაში" ფინანსური კრიზისია და თუ ახალი სპონსორი არ გამოჩნდა, მოთამაშეებს ნება აქვთ, სადაც უნდათ, იქ წავიდნენ.

„ამ სეზონში ხელფასები საერთოდ არ გაცემულა და ზოგიერთთან, მათ შორის ჩემთანაც, კლუბს გასული სეზონის ვალიც აქვს — გვითხრა მანუჩარ მარკოიშვილმა — გუშინ გამოგვიცხადეს, რომ გუნდში სერიოზული ფინანსური პრობლემებია. ჩვენი მთავარი სპონსორი, ლუდსახარში „უნიონი" ხელფასების დარიგებაზე უარს აცხადებს, რადგან თავადაა გაკოტრებული. თუკი ახალი სპონსორი არ მოვიდა, ზეგ „პარტიზანთან" მატჩის შემდეგ ვისაც უნდა, გუნდს დატოვებს".

„ოლიმპიას" მაშინაც ჰქონდა ფინანსური პრობლემები, როცა იქ ვლადიმერ ბოისა თამაშობდა. კლუბმა, უფრო კი მისმა სპონსორმა „უნიონმა" ახლა წააგო სასამართლო იმ მოთამაშეებთან, რომლებიც 5 წლის წინ ირიცხებოდნენ „ოლიმპიაში". ლუდსახარშის საბანკო ანგარიშები გაიყინა, რობერტას შტელმახერსმა და სხვა ცნობილმა კალათბურთელებმა კი 5 წლის წინათ ასაღები ხელფასები მიიღეს.

ერთი სიტყვით, „ოლიმპიას" ბედი ამ კვირაში გადაწყდება. თუ სპონსორი არ გამოჩნდა, შესაძლოა, გუნდიდან ნახევარი შემადგენლობა წავიდეს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბრენტ ბერის ნაკერები ებევრა

19 ნოემბერი

**სან ანტონიო 108:99 საკრამენტო**

**სან ანტონიო:** დანკანი (35 ქულა, 14 მოხსნა), პარკერი (17), ჯინობილი (16)

**საკრამენტო:** არტესტი (22), მარტინი (20)

**ლეიკერსი 82:72 ჩიკაგო**

**ლეიკერსი:** ოდომი (23), ბრაიანტი (18)

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (30), დენგი (3)

„არკო არენაში" კალათბურთის სათამაშოდ მოვედი და ისე გამოვიდა, თითქოს ჰოკეი მეთამაშოს" — თქვა „სან ანტონიოს" ვეტერანმა სნაიპერმა ბრენტ ბერიმ საკრამენტოში გამარჯვების შემდეგ. ჰოკეის არა, უფრო რაგბის ჰგავდა კალიფორნიის დედაქალაქში გამართული მატჩი, რომელშიც სამ მოთამაშეს სახის რაგინდარა ადგილებში მთლიანობაში 20 ნაკერი დაადეს.

ამ ომისმაგვარ მატჩში ყველაზე მეტად სწორედ ბერი დაზარალდა, ვისაც 9 ნაკერი ხომ შუბლის გარე ჭრილობაზე დაადეს და სამიც შიდაკემსვისას. მან ეს ტრავმა საკრამენტოელ რონი პრინსთან შეტაკებისას მიიღო, ვისაც თავის მხრივ ნიკაპი გაუხდა გასაკერი.

საოცარია და ბერი ამ ჭრილობის შემდეგ კვლავ დაბრუნდა მოედანზე, თავი მთლიანად დოლბანდით ჰქონდა შეხვეული და „სან ანტონიოს" უმნიშვნელოვანესი, ოქროს სამქულიანები მიუთვალა.

საბოლოოდ ბრენტმა 4-დან 3 სამიანი ჩაგდო, მაგრამ „მეფეების" დამხობაში ლომის წილი თავად დანკანმა დაიდო ტიმი ყოველთვის ზაფრავდა კალიფორნიაში „მეფეებს" და სწორედ მის ხელმარჯვობას უნდა უმადლოდეს გრეგ პოპოვიჩი, „სან ანტონიომ" საკრამენტოში გამართული ბოლო 8 შეხვედრიდან მეექვსედ რომ მოიგო.

„მათ იციან, თუ როგორ მოიგონ გასვლითი მატჩები და ეს განსაკუთრებით კარგად საკრამენტოში გამოსდით" — თქვა წაგებულთა თავკაცმა ერიკ მუსელმანმა, რომელიც იმ საღამოს 42 წლისა მოიყარა.

დღის მეორე მატჩი კი ნოსტალგიური გამოდგა. ფილ ჯეკსონს იმდენი აქვს „ჩიკაგოსთვის" გაკეთებული, რომ ამ გუნდის მთავარ სიმბოლოდ ითვლება დიდ მაიკლ ჯორდანთან ერთად. გუშინწინ კი ბრძენ ფილს სწორედ „ხარების" წინააღმდეგ მოუწია თავისი სამწვრთნელო ოსტატობის გამოვლენა. „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" „ჩიკაგოს" მასპინძლობდა და ისევე იოლად მოუგო, როგორც ერთ დროს თავად „ჩიკაგო" მუსრავდა ჯეკსონის ხელმძღვანელობით მომხვდურებს.

**ირაკლი პერტაია**

# თავისუფლების შოუ რუსეთში

## ქართველებმა მსოფლიო გაინადგეს

**რუსეთისა** და მსოფლიოს საჭიდაო ნაკრებების ამხანაგური შეხვედრა 19 ნოემბრის ნაცვლად 24-ში გაიმართება. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებულ შოუ-ტურნირში ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავეების მიწვევის შესახებ რამდენიმე დღის წინაც გაცნობეთ, თუმცა ჯერ დაზუსტებული არ იყო, მოახერხებდნენ თუ არა ჩვენებურები რუსეთში გამგზავრებას.

„სავიზო პრობლემები საკმაოდ იოლად მოგვარდა — გვაცნობა გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა — მოგეხსენებათ, რუსეთში მოხვედრა გართულებულია. ალბათ უარსაც მივიღებდით, საქმეში ტურნირის ორგანიზატორები რომ არ ჩარეულიყვნენ. დაღესტნის მთავრობა თავიდანვე დაგვპირდა, რომ ჩვენს ოთხ მოჭიდავეს და ერთ მწვრთნელს ვიზების მიღებაში მაქსიმალურად დაეხმარებოდა და სიტყვა შეასრულა“.

ხუთკაციანი ქართული დელეგაცია რუსეთში აზერბაიჯანის გავლით დღეს საღამოს გაემგზავრება. ბაქომდე მატარებლით ჩავლენ, ბაქოდან რუსეთის საზღვრამდე — მანქანით. იქ კი ჩვენებურებს შოუ-ტურნირის მასპინძლები დახვდებიან. სწორედ მასპინძლები იღებენ დაღესტანში ჩაყვანასა და უკან, საზღვრამდე დაბრუნებაზე პასუხისმგებლობას.

მახაჩყალურ ხალიჩაზე მსოფლიოს ნაკრების სახელით ოთარ თუშიშვილი (66კგ), რევაზ მინდორაშვილი (84კგ), გიორგი გოგშელიძე (96კგ) და ლუკა კურტანიძე (120კგ) გავლენ. ნაკრების მწვრთნელი კი მარლენ ოსიყმაშვილი იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მსმენ იოკოძუნა და -9

## პირველმა უკანასკნელი დაჩამრა

**ფუკუოკურ** ბაშოზე წარუმატებელი სვლა ქართველმა კომუსუბიმ ვერც გუშინ შეწყვიტა. ლევან ცაგურიას მეცხრე მარცხი იოკოძუნა ასასიორუმ აწვნია, რითაც ერთპიროვნული ლიდერი გახდა. „ცისფერ დრაკონს“ „შავი ზღვის“ წასაქცევად დიდი ჯაფაც არ დასდგომია — პირველსავე შეტევაზე ქართველის ქამარს სწვდა და კოკაის წონასწრობა სწრაფადვე დაეკარგვინა. იმპერატორის თასის თვრამეტგზის ამწევი მონღოლი მეცხრამეტე ტიტულისკენაც ჯიქურ მიიწევს. გუშინდლამდე თანალიდერიც ჰყავდა, მაგრამ მასპინძელთა ფავორიტი კაიო იოკოძუნას ზურგსუკან მდგომ რიკისითა სიაში გაწევრიანდა.

ვეტერან ოძეკის გული ასევე ოძეკიმ, ტოჩიაძუმამ დაწყვიტა, რითაც გვერდით ამოიყენა. ამ ორი დევკაცის გარდა ოძეკი ტიოტაიკაის და რიგით მაეგაშირებს ბალტსა და ხომასიოსაც რვა-რვა ქულა აქვთ აქტივში. სეკივაკე კოტომიცუკიმ კი ზედიზედ მეორე ბრძოლა წააგო და ამ სიიდანაც ამოვარდა.

მეცხრე ტურის მთავარი სანახაობა უმაღლეს დივიზიონ მაკუტის უმძიმესი და უმსუბუქესი სეკიტორების დაჭიდება გამოდგა. 186-კილოგრამიანი სეკივაკე მიაბიამა აღმოსავლეთის პირველ მაეგაშირა ამას 71 კილოგრამით აღემატება, მაგრამ გუშინ ვერც ამ უპირატესობამ უშველა და ვერც ორი წოდებით მაღლა დგომამ. ამამ იმდენი ქნა, ლამის ორცენტნერიანი დეკაცი მაყურებლებში გადააგდო.



**იოკოძუნა ასასიორუს (მარჯვნივ) მომრევი არც ფუკუოკაში ჩანს ვინმე**

სეზონის ბოლო ბაშოს დასრულებამდე ექვსი ტური რჩება. მეათე ტური დღესაა და კოკაი თავისსავით უქულო ივაკიამას დაეჭიდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ირაკლი ლაბაძე**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**გუშინ** პროფესიონალ კაცთ ჩოგბურთელთა ასოციაციამ წლის შემაჯამებელი რეიტინგები გამოაქვეყნა და რა გასაკვირია, რომ რაგინდარა კლასიფიკაციას აბსოლუტურად სარეკორდო მაჩვენებლებით შვეიცარიელი გენიოსი როჯერ ფედერერი უდგას სათავეში.

ქართველებიდან ATP-ის ნუსხაში კვლავაც, მხოლოდ ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე არიან მოხსენიებულნი. განთესვის რეიტინგში ირაკლიმ 8 პოზიცია დაკარგა და 250 ქულით 167-ე ადგილზე ჩაინაცვლა, ხოლო საჩემპიონო რბოლა 33 ქულით 120-ე ადგილზე დაასრულა. რაც შეეხება ლადოს, მან პირიქით, 6 საფეხურით მაღლა, 557-ე ადგილზე აინაცვლა 43 ქულით.

საჩემპიონო რბოლას აღარ შეეხება, მაგრამ განთესვის რეიტინგში ლაბაძეს ჯერ კიდევ ძალუძს წინ წასვლა, თუ ამ კვირაში, ინგლისის ქალაქ შრესბურის ჰარდზე მიმდინარე ჩელენჯერზე წარმატებით ითამაშებს. 25-ათასიან ტურნირზე ქართველი მე-8 ნომრად არის განთესილი და პირველ წრეში კვალიფიკაციიდან წამოსულ მეტოქეს შეხვდება.

გარკვეული ცვლილებებია WTA-ს რეიტინგის ქვედა ეშელონებშიც. სადაც ქართველები იმყოფებიან კიდეც. ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ლიდერმა მაკა ჩახნაშვილმა ორი ნაბიჯით წინ წაიწია და 179,5 ქულით 151-ე პოზიციაზე აინაცვლა. ანა ტატიშვილმა და სოფო მელიქიშვილმა პირიქით, შესაბამისად ერთი და ხუთი ადგილით უკან დაიხიეს — ანა 76,75 ქულით 301-ეა, ხოლო სოფო 67 ქულით 327-ე.

ჩახნაშვილის გარდა ქართველ ქალთაგან პროგრესი მხოლოდ 25,5 სარეიტინგო ქულის მქონე სალომე დევიძემ განიცადა, რომელმაც 13 საფეხურით მაღლა, 541-ე ადგილზე აინაცვლა. დანარჩენებმა, ტატიშვილისა და მელიქიშვილის დარად მცირედით უკან დაიხიეს: სოფო შაფათავა 15,25 ქულით 691-ეა (-2), ეკა გორგოძე 12 ქული 770-ე (-11) პოზიციაზეა, მანანა შაფაქიძე, ვისაც 8,25 ქულა აქვს, 892-ე (-9) საფეხურზე იმყოფება, თეონა ცერცვაძე 5,25 ქულით 1103-ეა (-7), ხოლო მანანა ქურდაძემ 11 ადგილით უკან დაიხია და 2,75 ქულით 1351-ე პოზიციაზე ჩაინაცვლა.

ამ კვირაში ჩვენებურთაგან, სავარაუდოდ, მხოლოდ ორნი ითამაშებენ. ჩახნაშვილი ფრანგული პუატიეს ჰარდზე მიმდინარე საკმაოდ წარმომადგენლობითი, 75-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეშია, ხოლო შაფაქიძე ისრაელში, რამათ ჰაშრონის ჰარდზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას კვალიფიკაციიდან შეეცდება.

# კაფეგი

## 2006 წლის საბოლოო მდგომარეობა

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 8370 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4470 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 4. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2530 |
| 5. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2495 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2415 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2375 |
| 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2295 |
| 9. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 2060 |
| 10. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2015 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1890 |
| 12. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1860 |
| 13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1705 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1475 |
| 15. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1460 |
| 16. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 1380 |
| 17. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1370 |
| 18. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1365 |
| 19. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 1340 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1315 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1674 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 894 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 565 |
| 4. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 506 |
| 5. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 499 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 483 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 475 |
| 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 459 |
| 9. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 412 |
| 10. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 403 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 378 |
| 12. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 372 |
| 13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 341 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 295 |
| 15. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 292 |
| 16. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 276 |
| 17. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 274 |
| 18. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 273 |
| 19. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 268 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 263 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 8343885 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 3746360 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2214890 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2026845 |
| 5. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1894295 |
| 6. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1713167 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1454675 |
| 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1420040 |
| 9. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1276265 |
| 10. იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 1221485 |
| 11. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1155495 |
| 12. მაქსიმ მირნი (ბელორუსია) | 1146265 |
| 13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1124630 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1023135 |
| 15. ტომი ჰაასი (გერმანია) | 947035 |
| 16. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 894565 |
| 17. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 886135 |
| 18. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 820460 |
| 19-20. ბობ ბრიანი (აშშ) | 810930 |
| 19-20. მაიკ ბრიანი (აშშ) | 810930 |

# ავსტრალია ირლანდიის ლანდია

გასული უქმეების დიდი სარაგბო ტესტ-მატჩობა, რომელიც პარასკევს უელსელთა მიერ კანადელთა გვემით დაიწყო და შაბათს ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და შოტლანდიაში გაგრძელდა, კვირას დუბლინის „ლენსადაუნ როულზე“ დასრულდა, სადაც ირლანდიელებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელ ავსტრალიელებზე.

ირლანდიელმა გორდონ დარსიმ ავსტრალიელთა დაცვა გაარღვია

დუბლინი. 19 ნოემბერი

**ირლანდია 21:6 ავსტრალია**

ირლანდიელებს ოზებისთვის 1979 წლის შემდეგ არ მოეგოთ. 27 წლის წინათ „სამყურებმა“ „ვოლაბები“ სტუმრად, ბრისბენში 27:12 დასცეს და აი, ამდენი ხნის შემდეგ მრისხანე მეტოქეს ისევ ოხუთმეტქულიანი სხვაობით აჯობეს.

ტრიბუნების ქომაგობით გამხნევებულმა ირლანდიელმა თავიდანვე შეუტიეს და მატჩის ბედი ფაქტობრივად პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს — ჰიკისა და მერფის ორ ლელოს ოგარამ ორი გარდასახვა და ერთი სავარიმო დამატა და ამ 15 ქულას სტუმრებმა მხოლოდ მორტლოკის ერთი სავარიმოთი უპასუხეს.

შესვენების შემდეგ ფეხჩუბინმა ოგარამ კიდევ ექვსი ქულა მოინაგრა და „ვოლაბები“ კი კვლავაც მორტლოკის კინკილა ჯარიმით დაკმაყოფილდნენ.

ირლანდიამ 21:6 მოიგო და ზედიზედ მეორე სამხრეთელი ბობოლა გაამწარა — ერთი კვირით ადრე „სამყურებმა“ 1995 წლის მსოფლიოს თასის გამარჯვებულ სამხრეთ აფრიკას 32:15 სძლიეს.



**მიხაილ ტალის მემორიალი**
**5-19 ნოემბერი. მოსკოვი. ბლიცტურნირი**

| | |
|---|---|
| 1 ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 23 ქულა |
| 2 ლევონ არონიანი (სომხეთი) | 21 |
| 3 თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 20,5 |
| 4 პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 20,5 |
| 5 რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 19,5 |
| 18. ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 9 |

ვიშვანათან ანანდი
და ბაადურ ჯობავა

# ვიშის ბლიცი

**სწრაფ ჭადრაკში** მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი ბლიცტურნირის გამარჯვებული გახდა. ინდოელმა დიდოსტატმა 34 შეხვედრიდან მხოლოდ ორი წააგო, 23 ქულა დააგროვა და მეორეზე გასულ ლევონ არონიანს ორი ქულით აჯობა.

წარუმატებლად იასპარეზა ჩვენებურმა ბაადურ ჯობავამ, რომელიც 9 ქულით ბოლო, მე-18 ადგილს დასჯერდა. არადა, ქართველმა თავიდან კარგად დაიწყო, შესარჩევ ეტაპზე, სადაც 40 მონაწილე იყო, წარმატებით იასპარეზა, ყველა მეტოქე შემუსრა და პირველ ადგილზეც გავიდა. მთავარ ბლიცტურნირში კი, სადაც უკვე 18 საუკეთესო გამოვიდა, ჯობავამ მოისუსტა და მხოლოდ 9 ქულა აიღო.

**ლაშა გეგეჭკორი**



# ორჰუსი და აფრორუსი

**დანიის** ქალაქ ორჰუსში ქალ ხელბურთელთა მსოფლიო თასი გათამაშდა. ეს შეჯიბრება თავად დანიელთა მოფიქრებულ-ორგანიზებულია და, ბუნებრივია, თავიანთი ნაკრების გამარჯვებას ვარაუდობდნენ...

რვა გუნდი ორ ჯგუფში იყო გაანწილებული. მასპინძლებმა ტურნირი შვედი და პოლონელი ხელბურთელების ძლევით დაიწყეს, მაგრამ ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ რუმინელებთან წაიფორხილეს — 24:25, რის გამოც მხოლოდ მეორე ადგილზე გავიდნენ და ნახევარფინალში მოქმედ ჩემპიონ რუსებს გადაეყარნენ.

სლავმა დიაცებმა მანამდე დამაჯერებლად აჯობეს ბრაზილიის, ჰოლანდიის, უკრაინის ნაკრებებს და ფინალის გზაზე არც დანიელთა ძლევა გასჭირვებიათ — 32:28. მეორე, უფრო მწვავე ნახევარფინალურ დაპირისპირებაში რუმინეთი უკრაინაზე ძლიერი აღმოჩნდა — 27:25.

გადამწყვეტი შეხვედრა სწრაფი, ეფექტური კომბინაციებითა და ბოლომდე დაძაბული სიუჟეტით მშვენიერი სანახავი გამოდგა. დასაწყისი რუსების იყო, ხუთ წუთში 4:0 დაწინაურდნენ. მეტოქეებმა მხოლოდ მე-13 წუთზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 5:5, მალე კი წინაც გავიდნენ და ტაიმიც მოიგეს — 15:13.

რუმინელები შესვენების შემდეგაც ლიდერობდნენ ორი-სამი ბურთით, მაგრამ ევგენი ტრეფილოვის გოგოებმა მაინც მოახერხეს პრაქტიკულად წაგებული თამაშის გადარჩენა. რამდენიმე „მკვდარი“ ბურთი მოიგერია მეკარე მარია სიდოროვამ, ხოლო შეტევაში შეუჩერებელი იყო აფრორუსი ემილია ტურეი, რომელმაც გუნდისთვის კრიტიკულ ვითარებაში ზედიზედ ორი გოლი გაიტანა და საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა — 27:27. ორნახევარი წუთიღა რჩებოდა, როცა ირინა პოლტორაცკაიამ თავისიანები, როგორც იქნა, დააწინაურა — 29:28 და 27 წლის ვეტერანის ეს გოლი საბოლოო აღმოჩნდა. ძალაგაცლილმა რუმინელებმა საპასუხო „ჩხვლეტა“ ვეღარ მოასწრეს.

ამრიგად, ისევე როგორც შარშან ამ დროს სანკტპეტერბურგულ ფინალში, რუსმა ხელბურთელებმა კვლავ აჯობეს რუმინელებს და მსოფლიოს ჩემპიონობას მსოფლიოს თასიც მიამატეს.

ოლიმპიური ჩემპიონი, მასპინძელი დანია მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.

ეს შეჯიბრება გუნდებისთვის მშვენიერი გავარჯიშება იყო ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც 7-17 დეკემბერს შვედეთში ჩატარდება.

**გია ახალაძე**

**რეგულარული ჩემპიონატი**

# იარომირ იაგრი: 600!

19 ნოემბერი

**რეინჯერსი 4:1 ტამპა**

*1:0 1:0 2:1*

1:0 იაგრი (2), 2:0 იულანდერი (23), 3:0 შენაჰენი (45), 4:0 სტრაკა (47), 4:1 პერონი (58)

**ანაჰაიმი 6:4 ფინიქსი**

*2:1 2:2 2:1*

0:1 ჟოვანოვსკი (4), 1:1 მაკდონალდი (8), 2:1 მაკდონალდი (14), 3:1 კუნიტცი (22), 3:2 პერო (32), 4:2 კუნიტცი (33), 4:3 ლარაკი (40), 4:4 ზიგომანისი (43), 5:4 კუნიტცი (50), 6:4 რ. ნიდერმაიერი (60)

**ვანკუვერი 2:1 ჩიკაგო**

*1:1 1:0 0:0*

1:0 ნესლუნდი (3), 1:1 რუუტუ (11), 2:1 გრინი (27)

**ნიუ იორკის** ლეგენდარულმა „მედისონ სკვერ გარდენმა“ წელს უკვე მეორე ჰოკეისტის მე-600 გოლი იზეიმა. 5 ოქტომბერს საიუბილეო შაიბა ბრენდან შენაჰენმა გაიტანა, ხოლო კვირას, როდესაც „რეინჯერსი“„ტამპას“ მასპინძლობდა, იარომირ იაგრმა მეორე წუთზევე გახსნა ანგარიში და გახდა ლიგის ისტორიაში მე-16 მოთამაშე, ვისაც რეგულარულ ჩემპიონატებში 600 და მეტი გოლი გაუტანია.

34 წლის იაგრი, ვინც დიადების — უეინ გრეტკისა და მარიო ლემიეს ეპოქის შემდგომ, ალბათ საუკეთესო ჰოკეისტია, მე-16 სეზონს ატარებს ლიგაში და ერთი გოლიც და, ის ლიგის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერთა სიაში მე-15 ადგილზე მყოფ იარი კურის ჩანაცვლება.

ტამპელ „ელვებთან“ მატჩში ჩეხმა სუპერვარსკვლავმა გოლს ორი შედეგიანი გადაცემაც დაამატა და „რეინჯერსმა“ მეტოქე 4:1 დაამარცხა.

მოლად იაგრის მე-600 გოლივით არ ჟღერს, მაგრამ აუცილებლად აღსანიშნავია ანაჰაიმელი „მძლავრი იხვების“ ფინელი ლიდერის, ტეემუ სელიანეს თამაში. „ფინიქსთან“ მატჩში სელიანემ 5 შედეგიანი პასი გააკეთა და „იხვებს“ „კოიოტები“ დაამარცხებინა. ისე, სელიანეს სამი შაიბაღა უკლია 500-გოლიან მიჯნამდე და ამას გარდა, ახლო მომავალში, ალბათ, კიდევ ერთი 600-გოლიანი მოთამაშე შეემატება ლიგის ისტორიულ სიას — ამ დიდოსტატურ ზღვრამდე „კოლორადოს“ უცვლელ კაპიტან ჯო საკიკს 17 შაიბაღა აშორებს.

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| ატლანტიკი | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 19 | 12 | 6 | 1 | 48:49 | 25 |
| რეინჯერსი | 21 | 11 | 9 | 1 | 69:67 | 23 |
| აილენდერსი | 18 | 9 | 6 | 3 | 50:50 | 21 |
| პიტსბურგი | 18 | 9 | 7 | 2 | 57:56 | 20 |
| ფილადელფია | 20 | 5 | 13 | 2 | 48:81 | 12 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბუფალო | 20 | 16 | 3 | 1 | 87:61 | 33 |
| ტორონტო | 21 | 11 | 6 | 4 | 71:66 | 26 |
| მონრეალი | 19 | 11 | 5 | 3 | 60:54 | 25 |
| ბოსტონი | 17 | 8 | 7 | 2 | 48:62 | 18 |
| ოტავა | 20 | 8 | 11 | 1 | 66:58 | 17 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ატლანტა | 22 | 12 | 7 | 3 | 76:69 | 27 |
| კაროლინა | 22 | 12 | 7 | 3 | 76:71 | 27 |
| ვაშინგტონი | 20 | 8 | 6 | 6 | 59:65 | 22 |
| ტამპა | 20 | 10 | 9 | 1 | 64:59 | 21 |
| ფლორიდა | 21 | 7 | 10 | 4 | 57:51 | 18 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| ცენტრალური | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 19 | 12 | 5 | 2 | 51:41 | 26 |
| ნაშვილი | 18 | 12 | 4 | 2 | 63:55 | 26 |
| ჩიკაგო | 19 | 7 | 10 | 2 | 47:58 | 16 |
| სენტ ლუისი | 19 | 5 | 11 | 3 | 46:67 | 13 |
| კოლუმბუსი | 18 | 5 | 12 | 1 | 39:58 | 11 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 19 | 12 | 6 | 1 | 58:47 | 25 |
| ედმონტონი | 20 | 11 | 8 | 1 | 59:54 | 23 |
| ვანკუვერი | 21 | 10 | 10 | 1 | 50:53 | 21 |
| კალგარი | 18 | 9 | 7 | 2 | 50:43 | 20 |
| კოლორადო | 20 | 9 | 9 | 2 | 60:57 | 20 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ანაჰაიმი | 21 | 14 | 2 | 5 | 75:55 | 33 |
| სან ხოსე | 21 | 15 | 6 | 0 | 70:47 | 30 |
| დალასი | 19 | 13 | 6 | 0 | 54:40 | 26 |
| ლოს ანჯელესი | 22 | 7 | 11 | 4 | 59:72 | 18 |
| ფინიქსი | 20 | 6 | 14 | 0 | 51:82 | 12 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

**ბომბარდირები:** იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 32 (9+23); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 31 (10+21); მარიან ჰოსა (ატლანტა) 31 (16+15); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 28 (8+20); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 28 (9+19); რეი უიტნი (კაროლინა) 28 (9+19); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 27 (14+13); დანიელ ბრიერი (ბუფალო) 27 (8+19), ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 27 (16+11).

**გოლეადორები:** შენაჰენი, ჰოსა 16-16; კოვალჩუკი, რაიან სმითი (ედმონტონი) 14-14; ტომაშ ვანეკი (ბუფალო), კრის კუნიტცი (ანაჰაიმი), ერიკ სტაალი (კაროლინა), ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 13-13.

**ასისტენტები:** იაგრი 23; ბრინდამორი 21; ნიულანდერი 20; კროსბი, უიტნი, ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი), ბრიერი 19-19; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 18-18.

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 21; ვანეკი 16; მილან მიხალეკი (სან ხოსე), დენის მარკოვი (დეტროიტი) 12-12; ალექსანდრ პერეჟოგინი (მონრეალი), ბრაიან კემპბელი (ბუფალო), კრის პრონგერი (ანაჰაიმი), დერეკ რუა (ბუფალო) 11-11

# ვინოკუროვამ ღვინო დაიჯერა, ქმარი ვერა

## ჯიჰჩირჩირის ჩირი ბანანი და გრეიპფრუტი

შენ ამ ქალებთან დაგტოვებ, მე კი იმათ მივხედავო, მითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ და მეზობელ მაგიდასთან გადაინაცვლა. მანამდე კი ჩემს თანამეინახეებს მოახსენა, ეს კაცი ყველაზე მაგარი სპორტული გაზეთის ყველაზე მაგარი ჟურნალისტია და თქვენგან ინტერვიუ უნდაო. მეც შევიფერე და ბლოკნოტ-კალამი მოვიმარჯვე.

ჰო, მანამ ჩვენს სუფრულ საუბარზე გიამბობდეთ, ჯერ თანამეინახეებს წარმოვიდგენთ.

ისინი სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო გარბენის ყველაზე თავგამოჩენილი ქალები არიან. ჩემს მარცხნივ, მესამე პრიზიორი, მოლდოველი სვეტლანა შპილიოვაა, მარჯვნივ — რუსი ჩემპიონი იულია ვინოკუროვა, პირდაპირ კი — უკრაინელი კატარინა კარმანენკო.

ეს რუსი არა მხოლოდ თბილისური გარბენის გამარჯვებული გახლავთ, არამედ მაინცის მარათონის ჩემპიონიც. თავს ფრანკფურტის ბრინჯაოს მედლითაც იწონებს და არც ჰიუსტონის მარათონში დაკავებული V ადგილი ეცოტავება.

ამიტომაც გასაუბრება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მასთან შეწადა, იმან კი, საფერავით სავსე ჭიქას ხელი წამოავლო, იმ ორმაც ჭიქებს ხელი სტაცეს, ჯერ ერთმანეთს მიუჭახუნეს, მერე სამივემ ერთად, ჯგუფურად, მე მომიჭახუნეს და, რა დროს ინტერვიუა, მოდი, ჯერ დავლიოთო.

— კი, ბატონო, სიამოვნებით, მაგრამ რისა-მეთქი, რუსმა კი, რა თქმა უნდა, მეგობრობისაო.

აბა, მეგობრობის საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა, ან ამ ჩვენი დალოცვილი საფერავისა.

და, რაკი რუსმა მეგობრობისა დამალევინა, აბა, ისე როგორ იქნება, რომ ამ ათკილომეტრიანი გარბენის ერთი ამბავი არ გავიხსენო, რომელიც რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის უცნაური გამოძახილი იყო.

მორბენლებმა ვაკის საცურაო აუზთან სტარტი რომ აიღეს, მათ, წესისა და რიგისამებრ, რამდენიმე მანქანის ესკორტიც აედევნა. იყო მსაჯების მანქანაც, ორგანიზაციის, საპატრულო პოლიციისაც, სასწრაფო დახმარების და ტელეოპერატორებისა. ამ ქარავანში ერთი, დიპლომატის ნომრებიანი, თეთრი ყვავივით გამოირჩეოდა. მართალია, შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანის, ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, კენიის, მოლდოვის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები მოდაატანინეს, საქართველოში საშიშია, თითქოს იმ დღეებში ბუდაპეშტში ამბოხი არ ყოფილიყო...

— იცით, რა, საქართველოსა და რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციებს ერთმანეთთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა აქვთ — მეუბნება იულია — სწორედ ჩვენს ფედერაციაში შემომთავაზეს თბილისურ გარბენში მონაწილეობა და მეც დავთანხმდი, თუმც მივლინებაში მყოფმა ჩემმა ქმარმა ეს რომ გაიგო, დამირეკა და მითხრა, ქალო, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, შენ სულ მთლად ხომ არ გაგიჟებულხარო. ისიც მითხრა, ტელევიზორს მაინც არ უყურებ, ვერ ხედავ, ან არ გესმის, საქართველოში საშიშია, იქ ხალხს იტაცებენ, მძევლად იყვანენ, გამოსასყიდს ითხოვენ და შენი თავი რომ მომტაცონ, რაღა მეშველება. თბილისში რომც გაიმარჯვო, იქ მოგებული ათასი დოლარი ან სხვაგან სირბილ-სირბილით მოტანილი შენი პრემიალურები სულ ერთმანეთს რომ მივათვალო, გამოსასყიდად მაინც არ მეყოფაო. სხვებიც ამას მეუბნებოდნენ. აი, მამაჩემმა კი, გოგო, ტელევიზორს რა ყურს უგდებ, თბილისში ასე საშიში რომ იყოს, ქართველები მართლა ასეთი გიჟები ხომ არ არიან, შეჯიბრი რომ ჩაატარონო. რაკი ამ და სხვა შეჯიბრებებს მასპინძლობენ, ესე იგი, ყველაფერი ტყუილია. ჩადი თბილისში და არ ნაწილეობდნენ, მაგრამ ამათგან თავისი სპორტსმენის ადევნება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გარდა აზრად არავის მოსვლია.

ეტყობა, საქართველოში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებმა იფიქრეს, ეს ქართველები რაღაც ალმაცერად გვიყურებენ და ემანდ, ამ ჩვენს მორბენალს გზად ვინმემ რამე არ დაუშავოსო. ჰოდა, საელჩოს მანქანამაც რუსის შორიახლო მთელი ვაკე გამოიარა, მერე — ვერა, რუსთაველი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქუჩა, ბარათაშვილის ხიდი, სანაპირო, მუშტაიდი და თავისი მორბენალი ფინიშამდე, ეროვნულ სტადიონამდე მიაცილა.

და, რა თქმა უნდა, ამაოდ დაშვრა, გზად არავის არაფერი დაუშავებია და ეს აზრადაც არავის მოსვლია, მაგრამ რაკიღა რუსეთის საელჩოს აქ საქმე დალევია და საკუთარი თავი უფუნქციოდ ჩაუგდია, თბილისის ქუჩებში საქმიანი იერით გაისეირნა.

რუსეთ-საქართველოს ასეთი აჭრილი მდგომარეობის გამო იულიას ვეკითხები, კი მაგრამ, თქვენს თანამემამულეებს თუ ასე ეშინიათ თბილისის ქუჩებში გამოჩენისა, თქვენ რაღამ ჩამოგიყვანათ? აი, თქვენმა შეშინებულმა ძიუდოისტებმა იმდენი ქნეს, რომ თბილისში დაგეგმილი ევროპის საკლუბო ჩემპიონატი უნგრეთში გადატანილ-ბანანებო. აი, მეც ჩამოვედი და არც ვნანობ. აქ ყველაფერი მშვენიერია და კვლავაც ჩამოვალ, ახლა კი მეგობრობისა ერთიც დავლიოთ.

დავლიეთ, აბა, რას ვიზამდით და იქვე ვეუბნები, იმ თქვენმა იმან, გვარი დამავიწყდა, აკი, ქართული ღვინო საწამლავიაო და რუსეთში აკრძალა კიდეც. თქვენ არ გეშინით ამ ჩვენი ღვინისა-მეთქი.

ეს ჩვენი იულია გვარად ვინოკუროვა კია, მაგრამ ქართულ-რუსული „ვინოს“ ომისა, მგონი, არაფერი გაუგონია, რადგან სულ უცხოეთში დარბის. ამიტომაც შეიცხადა, ჩვენთან ქართული კი არა, მგონი, მოლდოვური ღვინო აკრძალესო.

ამაზე ახლა ჩვენმა მოლდოველმა თანამესუფრე სვეტლანა შპილიოვამ შეიცხადა, ჩვენი ღვინოც აკრძალეს და ქართულიც. არადა, ორივე ძალიან კარგია, თუმცა მე ქართული უფრო მომწონსო. ამაზე უკრაინელმა კვერი დაუკრა.

რაკი ასეა, ერთიც შევავსოთ და თქვენს თბილისურ გამარჯვებას გაუმარჯოს-მეთქი — მესამე ჭიქაზე ხელში ავიღე ინიციატივა. აბა, ქართულ სუფრაზე რუს ქალს ბოლომდე ხომ არ ვათამადებდი.

ამ საუბარში რომ ვიყავით, კაცებში გამარჯვებული კენიელი ვინსენტ კიპჩირჩირი თავზე წამოგვადგა. არ ვიცი, ამ კიპჩირჩირს ჩირი უყვარს თუ არა, მაგრამ ერთ ხელში ბანანი ეკავა და მეორეში — გრეიპფრუტი. მანამდეც ვაკვირდებოდი და ამ ორ ხილს ვერ ელეოდა, თითქოს თავის სამშობლოში თავზესაყრელად არ ჰქონდეს. ამ ჩვენს მწვადს, მგონი, ზედაც არ უყურებდა, სასმელებიდან კი ფორთხოლის წვენს ეძალებოდა.

ახლოდან მთლად ბავშვივით პატარა და სუსტი იყო, შორიდან კი, როცა უსაშველოდ დაწინაურებული ეულად გარბოდა, კაცს ჰგავდა. შველივით თუ ქურციკივით მსუბუქად და ლამაზად დარბოდა. ეგ კი არა, ფინიშის შემდეგ, აფრიკულ პაპანაქებას შეჩვეულს რომ შესცივდა და აიბუზა, მანამ სამოსს ვაწვევდნენ, გასახურებლად სტადიონზე ისევ შეუჩერებლად დარბოდა.

ასე იყო თუ ისე, დაინტერესდი, კენიაში თქვენ რომელ ნომრად ითვლებით-მეთქი.

აბა, რა ვიცი, სადღაც შუაში ვიქნებიო. ეს შუაში მყოფი კაცი თბილისურ გარბენში მთელი თავით მაღლა აღმოჩნდა მეტოქეებზე, აქ გამოსვლამდე კი პრესტიჟული ნახევარმარათონიც მოიგო და საერთოდ, მისი თანამემამულეები ნახევარმარათონებშიც ბატინობენ, მთლიან მარათონებშიც და ასე რიგ-რიგენით ყველგან საპატიო კვარცხლბეკს იპყრობენ.

სამწუხაროდ, ამ ჩვენი კენიელი სტუმრისგან მაინც ვერ გავიგეთ, თუ რა არის მისი თანამემამულე მარათონელების საარაკო წარმატებათა საიდუმლო.

თავად ვინსენტი ამბობს, სირბილი ძალიან გვიყვარს, მთელი კენია დარბის და ამიტომ გამძლე მორბენლების მოსაძებნად დიდი არჩევანიაო.

მაია აზარაშვილის აზრით, ეს საიდუმლო იმით აიხსნება, რომ კენიელები სკოლებში თუ ნათესავებთან, ერთი სოფლიდან მეორეში, რომელიც ცხრა მთას იქითაა, უტრანსპორტობის გამო სირბილით დადიან, რაც მათ გამძლეობას უმაღლებს. მაგრამ, მგონი, ძაღლის თავი სადღაც სხვაგანაც უნდა იყოს ჩამარხული.

ეს საიდუმლო იქნებ ბანანში, გრეიფრუტში და ფორთოხლის წვენშიც უნდა ვეძებოთ, რომელსაც ვინსენტი ვერ ელეოდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**კატარინა კარმანენკომ და იულია ვინოკუროვამ კარგადაც ირბინეს და კარგადაც მოილხინეს**

**ფინიშის შემდეგ ვინსენტ კიპჩირჩირი გასავთებულ მეტოქეებს გოცებული დასცქეროდა**

სარგბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge